# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 მაისი, 2012 წელი.

№90 (6967)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ვაი ჩვენ, უპატრონოთ!



დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი – ისე გამოდის, რომ ხელისუფლება დავით გარეჯთან დაკავშირებით ნაჩქარევ განცხადებებს აკეთებს

3

## გაბობოხიძებული ხელისუფლება?!

თუმცა სხვას რას მოველოდით – რაც კანონმდებელი, ის – კანონაღმასრულებელიც!

2



## სულგაყიდული მთავრობის სულ უფრო მოღალატური განცხადებები საკუთარი სკამის გადასარჩენად

4

## მანავთან „პრეზიდენტის ტრაქტორები“ დგას და ზედ აწერია – „იყიდება“

5



## ხომ გამოჩნდა, რომ ბუნება ათასჯერ უფრო მეტად მბრძანებელია, როცა ხელისუფლება უმაქნისია!

4



## გაუჩინარებული საკუთრებების საქმე საქართველოში

6

## მიმწოდებლის ინტერესებიდან გამომდინარე?!

7

## რატომ დაკარგა საქართველომ ნატოს ტვირთები?

8

◎ „ფრენია“ სენი

# გაბობოხიძებული ხელისუფლება?!

## თუმცა სხვას რას მოველოდით – რაც კანონმდებელი, ის – კანონაღმასრულებელიც!



**იმან, რაც გუშინ „კავკასიის“ საინფორმაციო მიმოხილვაში ვნახე, შემზარა: ისანი-სამგორის გამგებლის მოადგილემ ბესიკ გაზდელიანმა ამავე გამგეობის წევრს ტატო გალდავას დღისით-მზისით, უამრავი ადამიანის თვალწინ, ისეთი მუშტი უთავაზა და იმდენსართულიანი გინების კორიანტელი დააყენა, როგორც იტყვიან, დედა შვილს ხელში არ აიყვანდა!**

**მამალ ნაციონალ გაზდელიანს მერე „მაესტროს“ ეთერით თავი უმართლებია, — პირადად რომ მლანძღეს და მთათხეს, მოვითმინე, მაგრამ როდესაც ჩემს პრეზიდენტსაც გადასწვდნენ — აქ ხალხი რომ დაიღუპა და გაუბედურდა, იმ დღეს სლოვენიაში ფეხბურთის საყურებლად რა უნდოდაო — და ჩემი პარტიაც შემიგინეს, ეს უკვე ვეღარ ავიტანეო!**

**ბრავო, ბრავისიმო, ერთგულო პარტიელო, ბოსთაგან ამ ერთგულების დაფასების იმედით უკადრებელს რომ კადრულობ და სისხლის სამართლის დანაშაულსაც სჩადი!**

გექნება ამის იმედი, აბა, არ გექნება, როდესაც ჯერ კიდევ „ვარდების“ ახალ ნაალიონევს შენმა მთავარმა ბოსმა პარლამენტში გამოსვლისას ნაცმოძრაობის ერთ-ერთ მაშინდელ ლიდერს დავით კირკიტაძეს, რომელმაც უმაღლესი საკანონმდებლო ორ-



განოს დაცვის წევრს, სამსახურებრივ მოვალეობას რომ ასრულებდა, სცემა, არც მეტი, არც ნაკლები, გმირი უწოდა?

**თურმე, ნუ იტყვით და, მხოლოდ იმისთვის, რომ დავით კირკიტაძეს თავის მიერვე ნაცემისთვის ბოდიში მოუხდია(?!).**

— გამდის და იმად ვტირიო, — ხომ იცით, ვინც და რატომაც თქვა?

წახალისდნენ კიდეც „ბავშვები“: ჯერ ნაცმოძრაობის ამჟამინდელმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ზურგიდან მიპარვით და კასტეტის ჩარტყმით კინაღამ თვალი წამოუგდო ოპოზიციონერ დეპუტატს, მერე იმერეთის გუბერნატორმა აკაკი ბობოხიძემ პირდაპირ ტელეეთერში გააწნა სილა ჟურნალისტს.

არც ერთისთვის ბუზიც არავის აუფრენია — ბობოხიძე დროებით გაარიდეს „გუბერნიას“ და შინაგანი ჯარების სარდლად დანიშნეს, მერე კი კვლავ გაადეპუტატეს, სადაც, ისევე პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ოპოზიციონერ დეპუტატს საქვეყნოდ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

ისევ — არაფერი!

ესეც არ გამკვირვებია, მაგრამ იმან კი ძალიან გამაოცა, რამ შეაჩერა დაუსჯელობით გათამამებული ეს ხულიგანი „კანონმორჩილი“ კანონმდებელი, როდესაც ახლახან, ტრიბუნასთან მიჭრილმა, მოქნეული მუშტი სახეში არ ჩაარტყა ოპოზიციონერ ჯონდი ბაღათურიას!

**ჰოდა, განა მარტო ქეცი თუ მუნია გადამდები, რომელიც შეიძლება შენობიდან გარეთ მყოფთაც შეეყაროთ! ხულიგნობა-კანონის დარღვევისთვის დაუსჯელობით გათამამებაც არანაკლებ „ფრენიაა“ და შეეყარა კიდეც მრავალ „ქვემდგომს“ — სხდომათა დარბაზს გარეთ ბევრად დაბალ საფეხურზე მყოფთ!**

თუნდაც ისეთებს, როგორიც ემზარ გაზდელიანია!

რეაქცია?

**კვალავ თითქოს არაფერი მომხდარიყოს!**

**არადა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, პატივცემულო მკითხველო, რა იქნებოდა, პირიქით რომ მომხდარიყო და გამგებლის მოადგილე სახალხოდ ეცემა, ვთქვათ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს?**

სამართალდამცავებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხომ წარმოგიდგენიათ, პრეზიდენტის ჯიბის ტელევიზიები — „რუსთავი -2“-ები“ — რა ამბებს ატეხდნენ!

ახლა კი, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ერთწუთიანი „სიუჟეტუნაც“ არ დაუთმია ამ ინციდენტისთვის არც ერთს ამ ჯიბის ტელევიზიათაგან.

**არადა, რომ ჰკითხო, როგორი ობიექტურები, სამართლიანები და ოპერატიულები არიან!**

**თუმცა არც ეს უნდა გაგვიკვირდეს — ისინიც ხომ იმავ „ფრენია“ სენით არიან დაავადებულ-გაყოყოჩებულნი, რომელიც ასე აყელყელავებს გაბობოხიძებულ ხელისუფლების წარმომადგენლებს!**

**რუსლან რუსია**



◎ ინფორმაცია

### ცენზი 5 წლამდე შემცირდა

**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით, რომელიც ბიძინა ივანიშვილის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ეხება, საქართველოში ცხოვრების ცენზი 5 წლამდე შემცირდა.**

**კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი პარლამენტმა პირველივე მოსმენით ისე მიიღო, რომ მასში საქართველში ცხოვრების ცენზი 10 წელი იყო. კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ასევე შეეძლოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც დაბადებულები არიან საქართველოში და ბოლო 10 წელი ცხოვრობდნენ ქვეყანაში.**

**ამ ცვლილების მიღების შემდეგ გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ბოლო 10 წელი არ უცხოვრია და არჩევნებში მონაწილეობას ვერ შეძლებდა. საპარლამენტო უმრავლესობამ კი ივანიშვილის განცახადების შემდეგ მზადყოფნა გამოთქვა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი იმდაგვარად შეეცვალათ, რომ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებით ესარგებლა. კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის საბოლო ვარიანტი გუშინ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გახდა ცნობილი.**

**მასში ჩაიწერება: „2014 წლის პირველ იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან ექნებათ ასევე პირებს, რომლებიც დაბადებულები არიან და ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“.**

### არც სამართლებრივი და არც – მორალური უფლება

**ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარის დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასებით, პარლამენტს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის არც სამართლებრივი და არც მორალური უფლება არ აქვს.**

**როგორც ლორთქიფანიძემ პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს მხარს არ დაუჭერს და მეტიც, მის წინააღმდეგ მისცემს ხმას.**

**მისივე თქმით, ამ ინიციატივაზე პოლიტიკური შეფასებაც რომ არ გააკეთოს, ის მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევებითაც მიმდინარეობს.**

**ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ინიციატივაში თავდაპირველად ნათქვამი იყო — ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე იმ შემთხვევაში მიიღებდა მონაწილეობას არჩევნებში, თუ ბოლო 10 წელი ცხოვრობდა საქართველოში, შემდეგ ბოლო წლებში ცხოვრების ცენზი მოიხსნა, შემდეგ ისევ დაემატა, შემდეგ ეს ფაქტი 2015 წლამდე იყო შესაძლებელი, შემდეგ 2014 წლამდე, ბოლოს რეგულაცია კონსტიტუციაში გარდამავალ დებულებად შეიცვალა.**

**„ეს არის მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევებით წარმოებული საკანონმდებლო ინიციატივა და პარლამენტს მისი განხილვის არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება არ აქვს“,— დასძინა ლორთქიფანიძემ.**

ინტერპრესნიუსი

◎ ინფორმაცია

### ვაი შენ „დასაქმებულო!“

**ხელისუფლება დამსაქმებლების სასარგებლოდ შრომის კოდექსში მორიგ ცვლილებას გეგმავს: ცვლილებათა პროექტის თანახმად, დამქირავებელს უფლება ეძლევა, დასაქმებულის წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება უვადოდ გადადოს.**

**მოქმედი კანონით, დამსაქმებლების მიერ თანამშრომლების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა მხოლოდ 90 დღე შეიძლება გაგრძელდეს. კანონპროექტით კი ვადის ლიმიტი უქმდება. კანონმდებლობით, ეგრეთ წოდებული ლოკაუტი მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, რაც დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დავა არსებობს. ამ პერიოდის განმავლობაში, დამსაქმებელი არ არის ვალდებული დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მისცეს. კანონპროექტის განხილვა პარლამენტს ჯერ არ დაუწყია.**

### ხელისუფლება კი დაჰპირდა, მაგრამ...

**კომერციულმა ბანკებმა „ჰიბრიდული სიმინდის“ პროგრამით დაზარალებული ფერმერების ქონების დაყადაღება დაიწყეს. როგორც „სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით დაზარალებულთა კავშირიდან“ გვაცნობეს, სახელმწიფოსგან დაპირებული ანაზღაურება ჯერაც არ მიუღიათ, ხოლო ბანკებმა ამ ფონზე ფერმერების ქონების და საბანკო ანგარიშების დაყადაღება დაიწყეს.**

**კავშირის ხელმძღვანელის თქმითვე, უახლოეს დღეებში დაზარალებული ფერმერები სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სოფლის მეურნეობის კორპორაციასთან საპროტესტო აქციას გამართავენ.**

**შეგახსენებთ: ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულები ხელისუფლებიდან იმ კრედიტების დაფარვას მოითხოვენ, რომლებიც სათესლე მასალების შეძენისთვის მიიღეს. „ქრისტიან-დემოკრატების“ ცნობით, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამაში მონაწილე 30 ათასი ფერმერიდან 20 ათასი დაზარალდა. თუმცა სოფლის მეურნეობის კორპორაციაში კი ამტკიცებენ, რომ პროგრამაში მონაწილეთა 90% კმაყოფილია და კორპორაციამ მხოლოდ 30 საჩივარი მიიღო.**

ინტერპრესნიუსი

◎ ტერორი

# კოჯრის ტყის ახალი „სიზმარი“

**თუმცა, რაღა სიზმარი? ცნობილი პოეტისა და პუბლიცისტის, ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, გაზეთ „საერთო გაზეთის“ რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას შვილი დავითი გასულ ორშაბათს, ღამით უცნობმა პირებმა მანქანაში ჩატენეს და კოჯრის ტყისკენ გააქანეს!**

დავით ხარჩილავა, რომელიც მეგობართან ფეხბურთის მატჩის ყურებას შერჩა, გვიან ღამით მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

ჰოდა, სამმა გამტაცებელმა ლამის ზუსტად იმ გზაზე ატარა ხარჩილავას ვაჟი, რაც თავის დროზე ცხონებულმა სანდრო გირგვლიანმა გაიარა სიკვდილის წინ.

დავით ხარჩილავა სანდრო ბრეგაძის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის „ეროვნულობის“ აქტიური წევრია. ორგანიზაციისა, რომლის ყრილობა 30 მაისს არის დაგეგმილი და რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება. სწორედ ამ გარემოებით ხსნიან ხსენებული ორგანიზაციის მესვეურები ამ აშკარად ტერორისტულ აქტს.

მართალია, გატაცებული დათო არ უცემიათ, მაგრამ სამაგიეროდ კოჯრის ტყეში უხვად იყო გინება და მუქარა — მამაშენი აზრზე მოვიდეს, ბიჭო, და სტატიების წერა „ისწავლოს“; რა ეროვნულობა აგიტყდათ, თქვენი ეროვნულობაც მოვ... და ყველაზე ამაზრზენი — შენი ორი წლის ქალიშვილს შენს თვალწინ გავაუპატიურებთო! სხვათა შორის, ამის გაგონებაზე თვით ერთ-ერთ გამტაცებელსაც ვერ მოუთმენია და, — კაი, ბიჭო, ყველაფერს აქვს საზღვარიო! — შეუძახნია ავყიისთვის.

ბოლოს დათო გაუტიტვლებიათ, ტანსაცმელი აქეთ-იქით გადაუყრიათ და ასე მიუტოვებიათ ღამით ტყეში...

ამ ყოველივედან ერთი დასკვნის გამოტანა ახლავე შეიძლება — 27 მაისისთვის „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებული, სავარაუდოდ გრანდიოზული აქციის წინ, ვითარება იძაბება და კიდევ სხვა „სიურპრიზებსაც“ უნდა ველოდოთ.

**საგულისხმოა ისიც, რომ ამ თემაზე გამართულ ბრიფინგს, რომელიც გუშინ „ეროვნულობის“ ოფისში გაიმართა, ტელევიზიებიდან მხოლოდ „მაესტრო“ გამოეხმაურა...**

**დავით მხეიძე**

ვითარება

# ვაი ჩვენ, უპატრონოთ!

## დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი — ისე გამოდის, რომ ხელისუფლება დავით გარეჯთან დაკავშირებით ნაჩქარევ განცხადებებს აკეთებს

ისე გამოდის, რომ ხელისუფლება დავით გარეჯთან დაკავშირებით ნაჩქარევ განცხადებებს აკეთებს, — განუცხადა ჟურნალისტებს გუშინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა.

**„ჩვენ გუშინდლამდე დიდი იმედი გვქონდა, რომ ხელისუფლება აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ეს ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი ძეგლები მოლაპარაკების გზით საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა. სამწუხაროდ, გუშინ საღამოს გავიგეთ, რომ ეს ტერიტორიები არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში და ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლები, როგორიც არის ბერთუბანი, ჩიჩხიტური და მისი მიმდებარე ეკლესიები, აღმოჩნდა ფაქტობრივად საზღვარს იქით, სადაც დღეს ქართული იურისდიქცია არ ხორციელდება. ეს ძალიან სამწუხაროა ჩვენთვის. პირდაპირ წარმოუდგენელია, მოხდა ხელის გაშვერა კომუნისტებისკენ, კომუნისტური მმართველობის პერიოდისკენ, თითქოს მაშინ გადაეცა აზერბაიჯანს. ნამდვილად ვერ გავიზიარებთ ამ პოზიციას, რადგან იმ დროს, როდესაც ხელისუფლებაში კომუნისტები იყვნენ, ქართული მხარე იქ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა. ბერთუბანზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. თუ ეს მაშინვე აზერბაიჯანის ტერიტორია იყო, რაღას ვდავობდით და ვის ვედავებოდით? ძალიან სამწუხაროა ეს ყოველივე. გამოდის ისე, რომ ხელისუფლება ნაჩქარევ განცხადებებს აკეთებს. თუ ეს მართლაც ასეა, ძალიან სამწუხაროა.**

**ჩვენ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, შევეცდებით, რომ როგორმე მოხდეს შეთანხმება, რომ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ძეგლები ან ადგილმონაცვლეობის პრინციპით ან სხვა რაიმე პრინციპის გათვალისწინებით დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში. ეს არის ჩვენი პრინციპული პოზიცია და ძნელად წარმომიდგენია ქართველი ადამიანი, რომელიც შეეგუება სიწმინდეების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას. ხელისუფლებამ ცივი წყალი გადაგვასხა“,** — განაცხადა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა.



**სასულიერო პირების ცნობით, 6 მაისის შემდეგ დავით გარეჯში, უდაბნოს მონასტერთან, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან. 6 მაისს გიორგობას, როდესაც ბერები წირვაზე იმყოფებოდნენ, მომლოცველებისგან შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ისინი უდაბნოს მონასტერში აღარ შეუშვეს.**

**გუშინ კი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ ეს მონაკვეთი საბჭოთა დროიდან საქართველოს შემადგენლობაში არ იმყოფებოდა.**

დავა

# დავით გარეჯი — ჩვენი რწმენის წმინდა ადგილი

**ათი დღეა, რაც დავით გარეჯის კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ტერიტორიას აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ. მეზობელი ქვეყნის საზღვრის დაცვის სამსახური 6 მაისის შემდეგ გააქტიურდა. სასულიერო პირთა განცხადებით, მესაზღვრეები, რომლებიც ტაძრის მისასვლელთან დადგნენ, არ უშვებენ და უკან აბრუნებენ მომლოცველებსა და ტურისტებს. 14 მაისს კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ სულაც განაცხადა, რომ „დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ნაწილი სადავო ტერიტორიას არ წარმოადგენს და ის საბჭოთა კავშირის დროიდან აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება“. მოგვიანებით მას უნისონში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუაც აყვა, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა — სამწუხაროდ, დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანს ეკუთვნისო.**

**მაინც ვის ტერიტორიაზე მდებარეობს უდაბნოს მონასტერი და კონკრეტულად რამ გამოიწვია აზერბაიჯანის მხარის ასე უცერემონიო გააქტიურება?**

— ჩვენ აზერბაიჯანელ მესაზღვრეებზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ გაგვაჩნია, ბერები ვართ, ამიტომ მივმართავთ საზოგადოებას, ქართველ ხალხს: ესაა უწმინდესი ადგილი, უწმინდესი მონასტერი, რომელიც აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში გადასვლის საფრთხის წინაშე დგას, — განაცხადა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში მღვდელ-მონაზონმა კირიონმა.

მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებებმა საზოგადოების დიდი ნაწილის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. როგორც ცნობილია, საქართველო-აზერბაიჯანს შორის გარეჯის მონასტრის ირგვლივ დავა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული მოდის, რადგან მაშინ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრები მკაფიოდ არ იყო გამიჯნული, რაც, ალბათ, გახდა კიდეც მთავრობის წევრთა განცხადებების საფუძველი. გასაგებია ისიც, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოს მხარე აღნიშნული საკითხის აქტუალიზაციას თავს არიდებდა, რადგან მეზობელ მეგობარ ქვეყანასთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა. თუმცა ეს თავისთავად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზღვარი ზუსტად არ უნდა დადგინდეს და ვისაც სად მოესურვება იქ გაავლოს გამყოფი ზოლი.

მთლიანად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ორნახევარ კვადრატულ კილომეტრზეა განთავსებული, მისი დიდი ნაწილი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 446-კილომეტრიანი სასაზღვრო ერთ-ერთ ჯერაც ზუსტად გაუმიჯნავ მონაკვეთზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ საზღვრის სადელიმიტაციო ორმხრივმა სამთავრობათაშორისმა კომისიამ, რომელიც 1996 წლიდან მუშაობს, არაერთი მცდელობის



მიუხედავად, ტერიტორიის თაობაზე შეთანხმებას ვერ მიაღწია — ლაპარაკია, კერძოდ, გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთაზე, რომელზეც სამონასტრო კომპლექსია გაშენებული, თორემ საერთო საზღვრის დაახლოებით 70 პროცენტი (დაახლოებით 300 კილომეტრიძ უკვე დაზუსტებულია.

აზერბაიჯანელები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს თავიანთ წინაპართა, ქრისტიან ალბანელთა მემკვიდრეობად მიიჩნევენ, მაგრამ ცხადია, რომ ეს ქართული კულტურის ძეგლია: ქართველ ისტორიკოსთა არგუმენტაციით, მისი ქართული წარმომავლობა თავად მონასტრების კედლებზეა ასახული — მას ეპიგრაფიული წარწერები და ქართული ფრესკები ნათლად მიუთითებს. ამდენად რაიმე ალბანურ კვალზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ ორი წლის წინათ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო დავის მოსაგვარებლად ჩვენმა მხარემ აზერბაიჯანელებს სხვა ტერიტორია შესთავაზა, მაგრამ ამ წინადადებაზე მათ უარი განაცხადეს. ამის მიზეზი ისაა, რომ **ერთ-ერთი ვერსიით, მათთვის ეს საკითხი ყარაბაღის კონფლიქტის თემას უკავშირდება. კერძოდ, ისინი მთიან ყარაბაღში არსებულ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს ალბანური კულტურის ნაწილად აღიარებენ და რადგან სწორედ აზერბაიჯანია ალბანური კულტურის მემკვიდრე, ამ ლოგიკით დავით გარეჯიც მათ უნდა ეკუთვნოდეს. აქედან გამომდინარე ბაქოში მიაჩნიათ, რომ თუკი ისინი რომელიმე ქრისტიანულ ძეგლთან დაკავშირებით რომელიმე სხვა მხარესთან (ამ შემთხვევაში საქართველოსთან) დათმობაზე წავლენ, მომავალში ეს მათ მთიან ყარაბაღში პრობლემას შეუქმნის.**

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ მეტად საყურადღებო გარემოებას: კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მონაცემებით, რაც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ტრანსფორმაციის საკითხს ეხება, **სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთზე გამოავლინეს ტერიტორიული ცვლილების 69 ადგილი, სადაც 42 შემთხვევაში ფაქტობრივი საზღვარი საქართველოს მხარესაა გადმონაცვლებული, 27 შემთხვევაში კი — აზერბაიჯანის საზიანოდ. შედეგად, საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგმა 293 ჰექტარი შეადგინა. აზერბაიჯანის მხარეს ანალოგიური ფართობი 224 ჰექტარს არ აღემატება, თუმცა კი საგანგებოდ აღსანიშნავია ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ, საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, ალაზნის აქეთ დარჩენილი ტერიტორიების დიდ ნაწილს აზერბაიჯანის მთავრობა კვლავაც ძველებურად აკონტროლებს(?!).**

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე საუბრისას ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური,** კერძოდ, ამბობს, რომ თუ აღნიშნული საკითხი დღმდე არაა მოგვარებული, ამის პასუხისმგებელი მთავრობაა.

**— მე, პირადად, რა თქმა უნდა, ტერიტორიაზე მაქვს პრეტენზია, მაგრამ ჩემი პრეტენზია უფრო იმას ეხება, რომ ქართული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურის ძეგლია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და ასეთად უნდა დარჩეს,** — აცხადებს პროფესორი გიორგი ოთხმეზური.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების პოზიცია პრინციპული და კატეგორიული უნდა იყოს. მეცნიერი იმასაც უსვამს ხაზს, რომ აზერბაიჯანელები მეტად პრინციპულად აყენებენ საინგილოს საკითხსაც, სადაც ასევე არის ქართული კულტურის ძეგლები, რომლებსაც თავისად აცხადებენ. მაგალითად, წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიას მცირედი რესტავრაცია ჩაუტარეს, ოდნავ ფორმები შეუცვალეს და რუსულად „Памятник Албанской архитектуры“ დააწერეს.

თავის მხრივ აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე** აცხადებს, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსის ადგილი ერთ დროს მართლაც იყო ქრისტიანული ალბანეთის ტერიტორია, მაგრამ შემდეგ, IV საუკუნეში იგი საქართველოს შემადგენლობაში მოექცა. გარდა ამისა, მარიამ ლორთქიფანიძის თქმით, ტერიტორია ოდესმე ალბანელების თუ იყო, მაინც ცხადია, რომ ეს მათი ძეგლები არ არის — ესაა ქართული ეკლესია-მონასტრები, რასაც ქართული წარწერები ადასტურებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

დავით გარეჯი, რომელიც ფეოდალური ხანის საქართველოს IV საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსია, იგი გარეჯის კლდოვან მთებში მდებარეობს. მისი მცირე ნაწილი (ბერთუბანი, ჩიჩხიტური) აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა მოქცეული. კომპლექსი ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის მიერაა დაარსებული, რომელიც თავის მოწაფე ლუკასთან ერთად აქ პატარა ბუნებრივ მღვიმეში დასახლდა.

დავით გარეჯის ლავრას დროთა განმავლობაში მრავალი მონასტერი შეემატა. კომპლექსი წამებულის, ნათლისმცემლის, ჩიჩხიტურის, თეთრსენაკების, დოდოს რქის, უდაბნოს, აღდგომასა წამებულთა, ბერთუბნის, მღვიმის, ქოლაგირის, ვერანგარეჯის, პირუკუღმრის, დიდი და პატარა ქვების მონასტრებს მოიცავს.

## აუწონავი სიტყვა

# სულგაყიდული მთავრობის სულ უფრო მოღალატური განცხადებები საკუთარი სკამის გადასარჩენად

**მიხეილ სააკაშვილმა ორიოდ კვირის წინათ მადლობა განუცხადა მოძმე რუსეთს, რომ მათი მხრიდან კრიტიკის გამო ქართული ღვინო, რომელიც არაფრად ვარგოდა, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი გახდა!**

ფაქტობრივად ამ განცხადებით მან თქვა, რომ სწორი იყო გენადი ონიშჩენკო, როცა ქართული ღვინისათვის რუსეთის ბაზარი დაკეტა! და არასწორი იყვნენ როგორც ქართველი ღვინის მწარმოებლები, ასევე – თავად მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი მთავრობა – საგარეო საქმეთა მინისტრის თამადობით, როცა ამ ნაბიჯის პოლიტიკურ სარჩულზე და ტენდენციურობაზე, უსამართლობაზე ლაპარაკობდნენ! მიხეილ სააკაშვილს არ უთქვამს, ჩემი მაშინ სანაქებო მინისტრი ოქრუაშვილიც მართალი იყო და სწორედაც რომ ფეკალურ მასებს ვყიდდით რუსეთშიო, მაგრამ ბევრი არ დაკლებია იქამდეც!

თუმცა ეს მხოლოდ ყვავილები იყო, თურმე!

მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილმა, არცთუ ოფიციალურად, მაგრამ სრული სერიოზულობით (რამდენადაც მას შეუძლია, იყოს სერიოზული დღევანდელ მდგომარეობაში) განაცხადა – **„მოდით, ვაღიაროთ, სოხუმი ხომ არასდროს ყოფილა ჩვენიო“!**

სოხუმი არასდროს ყოფილა ჩვენიო???

ანუ ჩვენ რაღაც დროს დავიპყარით ეს სოხუმი და მერე არძინბამ გაანთავისუფლა?

ჰოჰოჰო, რას გაიხარებდნენ ჯოჯოხეთში სუსლოვიც და არძინბაც? რა ზეიმი ექნებოდათ იმ დღეს პუტინს და ლავროვს???

მეტს კი არაფერს გვედავებოდნენ სეპარატისტები და მათი მფარველი იმპერიალისტები ეს ორი საუკუნეა, რომ სოხუმი არ იყო საქართველოს ნაწილი! და ახლა საქართველოს დე ფაქტო პრეზიდენტმა „აღიარა“, რომ ეს ასეც იყო“.

მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ეს იყო ძალიან ღია კოჭის გაგორება პუტინისათვის – „ოღონდ მაღიარე, ოღონდ ხელი ჩამომართვი (ან – „შენს ხელზე მთხვევის უფლება მომეცი!“) და აგერ ვამბობ, რომ სოხუმი ჩვენი არ იყო და სოხუმის ამბავშიც ისევე მართლები იყავით, როგორც ონიშჩენკო იყო ღვინის ამბავშიო!“ **მიხეილ სააკაშვილი ამით შეეხვეწა პუტინს, „ოღონდ დამტოვე, და შენი ვარ, შენი ვიქნები, გულით, სულით, და ორგანოებითო!**

და დღეს უკვე პირმშვენიერმა ნინო კალანდაძემ დაარღვია ოქროს მდუმარება (სამი დღეა დავით გარეჯის კომპლექსის ნაწილს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დაეპატრონენ და საქართველოს ხელისუფლება აქამდე იდიოტურად თუ ბრძნულად დუმდა) და მეორე მიმართულებით გაშალა თავისი მადლიანი კალთა!

მან განაცხადა, რომ **„დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ნაწილი სადავო ტერიტორიას არ წარმოადგენს და ის საბჭოთა კავშირის დროიდან აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება“** (ანუ ძ-ნმა ნინომ აქამდე დუმილი ამით ერთმნიშვნელოვნად იდიოტურობად აქცია! გამოდის, რომ სანქცია აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს სწორედაც რომ სააკაშვილის ხელისუფლებისაგან ჰქონდათ მიღებული, თორემ აქამდე გაუბედავს ახლაც არ გაბედავდნენ).

**და ეს ისე თქვა ახალგაზრდა დედამ (აბა, დიპლომატი ეგ არც იყო და ვერც ვერასდროს იქნება!), რომ ლაწვებიც არ შეფაკვლია, სათუთს!**

**ასე ხდება ხოლმე, როდესაც „თვითმფრინავის გოგოდ“ და „მტვირთავად“ დაბადებული ადამიანი დაიჯერებს, რომ დიპლომატია!**

ამას მოჰყვა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკა რურუას განცხადება, რომ **„დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტერი, სამწუხაროდ, აზერბაიჯანს ეკუთვნის“!**

ასე ხდება ხოლმე, როცა ყოფილი უკანონო შეიარაღებული ფორმირების გამორჩეული წევრი კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრად ინიშნება (მაინტერესებს, ისე, ჯაბას ეტყოდა თავის სანაქებო მოწაფეს).

**დავით გარეჯის ტერიტორია ნამდვილად იყო საკამათო ტერიტორია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და ნამდვილად არ ყოფილა შეთანხმება საზღვრის ამ მონაკვეთის შესახებ, მაგრამ, როგორც ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ამბობს „...სამწუხაროა და სამარცხვინო, როცა მინისტრის მოადგილემ არ იცის განსხვავება „დაუდგენელი საზღვრის მონაკვეთისა“ და „ჩვენ საზღვრებში არშემავალ ტერიტორია“-ს შორის!!! სკანდალურია, როცა ხელისუფლების მთავარი დღევანდელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არც სოხუმი და არც დავითგარეჯა საქართველოს ტერიტორიაში არ შედიოდა“ ხან ომით ასხვისებენ ტერიტორიებს და ხან სიტყვით... მოღალატეობა სხვა კი არაფერია!“**

კიდევ უფრო საშიში ისაა, რა სარ-



ჩულით ითხოვს აზერბაიჯანული მხარე უდაბნოს მონასტრის მიმდებარე ტერიტორიას. იმას კი არ ამბობენ – **მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიას ჩვენი მეცხვარეები საძოვრად იყენებდნენ და ამ დროიდან ჩვენიაო! არა, იძახიან, ეს მონასტერი „ალბანური კულტურის ძეგლიაო“! ანუ როცა აშენდა, უკვე იქიდან (ლამის 15 საუკუნეა!) ჩვენი იყო ეს მიწებიო!** და თუ ამას საქართველოს მთავრობა ეთანხმება, ისიც ხომ ძალიან ადვილი მისახვედრია, რომ სულ მალე იგივე „ალბანური კულტურის ძეგლობის“ არგუმენტს აზერბაიჯანული მხარე ახლა უკვე დავით გარეჯის ძირითად კომპლექსსაც მიუყენებს?! მერე რას ვიზამთ! **მიშა სააკაშვილის, ნინო კალანდაძის და ნიკა რურუას ხელში რასაც იზამს საქართველოს მთავრობა, ხომ ადვილი წარმოსადგენია!**

სააკაშვილის მთავრობის მხრიდან სწორედ ახლა „აღიარებული“ (და ვინ იცის, უკვე ხელმოწერილი?!) ეს ტერიტორიული დათმობა უკვე ილხამ ალიევისკენ გაკეთებული რევერანსია – **შენი ვარ, რასაც გინდა მოგცემ, ოღონდ ახლა დამეხმარეო...**

ილხამისგან დახმარება კი ორი სახის შეიძლება იყოს – **ა)** რამდენიმე დღეში უნდა გაკეთდეს ოფიციალური განცხადება ევრო-2020 ფეხბურთის ჩემპიონატის მასპინძლობაზე აზერბაიჯანისა და საქართველოს ერთობლივი განაცხადის შეტანის შესახებ. დღემდე აზერბაიჯანი საკმაოდ გულგრილი იყო ამ პერსპექტივის მიმართ, მაგრამ თუ აქამდე სადავო და სტრატეგიულ ტერიტორიას უცებ და უმტკივნეულოდ გაიფორმებს, რატომაც არა! – მით უფრო, რომ განაცხადის შეტანა არაფერს ავალდებულებს!

**ბ)** როგორც „მაესტროზე“ „სუბიექტური აზრის“ ეთერში ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, **მიშას კატასტროფულად დაჭირდება აზერბაიჯანელი მოსახლეობის ხმები, თანაც ისე, რომ ადრინდელისაგან განსხვავებით გაყალბების ნაკლები რესურსი გამოიყენოს, რადგან უცხოელ დამკვირვებელთა ინტერესი და დაკვირვება ამჯერად მეტი იქნება. ამიტომ, თუ ბაქოს ხელისუფლება აზერბაიჯანლებს ნაცმოძრაობის მხარდაჭერის სიგნალს მისცემს, ეს სააკაშვილს (2008 წელს, მისივე განცხადებით, „სულ რაღაც ორი რაიონის“ იოლად დამკარგავს) ნამდვილად უღირს რამდენიმე კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიად, თუნდაც მას „დავითგარეჯა“ ერქვეს! ის სახელი, საიდანაც აღორძინდა ქართული ეროვნული მოძრაობა 70-იან წლებში და მერე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გადაიზარდა.**

რაღა დარჩა?

ალბათ, მალე რომელიმე მინისტრი – ვანო მერაბიშვილი ან სულაც გიორგი ვაშაძე გამოვა და განაცხადებს, რომ სამცხე-ჯავახეთიც არ ყოფილა საქართველოს ნაწილი... თქვენ როგორ გგონიათ, აზერბაიჯანისთვის სტრატეგიული სიმაღლის ასე უცებ ჩუქებას სომხეთის ხელისუფლება ასე ადვილად მოინელებს და არ მოინდომებს, რომ თვითონაც წაგვაგლიჯოს რამე ამ საყოველთაო წაგლეჯვაში, რომელიც საქართველოს სულგაყიდული ხელისუფლების სრული კურთხევით მიმდინარეობს?!

და საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტანტს – თემურ ალასანიასაც, ალბათ, გაახსენდება თავისი დის თურქოფილია და აჭარის, როგორც თურქეთის სახელმწიფოს ქვაკუთხედზე გააკეთებს დასკვნებს... ყაზბეგ-გუდაურის „ოსური კულტურის კერებად“ ჩათვლასაც არ იუკადრისებენ ჩვენი ნორჩი ჭიპლომატები!

მოკლედ, ჩემი ძალიან სუბიექტური აზრით (მაგრამ არსებული ტენდენციების ჭვრეტით):

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ტოტალურად ადგას სერგო ორჯონიკიძის „დიად“ გზას! ოღონდ თუ სერგო მხოლოდ რუსეთის იმპერიას და მეორე სამშობლოს – აზერბაიჯანს წყალობდა, სააკაშვილი, ოღონდ კი ვინმეს რამე დაუთმოს და მისგან სკამის გადარჩენის პირობა მიიღოს და, – ყველას აძლევს სულმომლიმარი!

ბევრი ვეძებე და ვერსად ვნახე დათითხნილი, კვერცხებით და წითელი საღებავით მოთხვრილი და ცხვირით მიწაში ჩარჭობილი სერგო ორჯონიკიძის ძეგლის ფოტო... გთხოვთ სადმე გამოაქვეყნოთ, თუ გაქვთ!

ძალიან საჭიროა დღეს ეს ფოტო!.. და იმაზე მსჯელობაც არ იქნება ცუდი, რა უსამართლოდ გვიან აღსრულდა ქართველი მიწების გულუხვად გამჩუქებელი სერგო ორჯონიკიძის მიმართ ქართველი ხალხის სამართლიანი განაჩენი...

**ისე არ მოგივიდეთ, მოღალატეებო, სკამი გადაარჩინოთ და ზედ დასადები „განძი“ – ვერა...**

დამავიწყდა შემეხსენებინა – და ეს ხალხი, მათ რომ ჰკითხო, თურმე ოუკის გადარჩენაზე და აღდგენაზე ფიქრში ათენებს და აღამებს!..

**სოლომონ თერნალი,**
Presage.tv

## ღმერთო, გვიშველე!

**ჩვენი სწორუპოვარი დედაენის ქებისას პოეტი ამბობს: „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა!“ 12-13 მაისის ღამეს, რაც საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ზეციდან მოდიოდა, იმნაირ წვიმას ძნელია შესატყვისი მოუძებნოს კაცმა. მოკლედ, გაგვწირა ბუნებამ და ერთხელაც შეგვახსენა გენიალური ვაჟას ნათქვამი, „ბუნება მბრძანებელია“, ხოლო ათასჯერ უფრო მბრძანებელი ხდება იგი, როდესაც ქალაქები თუ სოფელ-ადგილები მოუმზადებელი ხვდებიან სტიქიას. ჰოდა, რაც უნდა თავი მოიკატუნოს, ძირითადად ჩვენი უმაქნისი ხელისუფლების კისერზეა 12-13 მაისის ღამის მსხვერპლიც და ზარალიც.**

სტიქიით მიყენებულ ზარალს უკვე ანგარიშობენ. კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში უკვე 5-5 მილიონი მოთვალეს, თბილისში უფრო მეტი. ოპოზიცია კი უგულავას მიერ თავის დროზე კანალიზაციიდან მითვისებულ ფულს ითვლის. როგორც ჩანს, მას გაცილებით მეტი შესძლებია, ვიდრე სტიქიას.

პირველი ინფორმაცია ზარალის შესახებ კახეთიდან მოვიდა. უკვე ვრცელდება ცნობები: სტიქიამ კახეთი დაახლოებით 5 მილიონი ლარით აზარალა. როგორც კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა განაცხადა, ყველაზე მეტად გურჯაანის რაიონი დაზარალდა.

**„გურჯაანის მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტად არის დაზიანებული ინფრასტრუქტურა, დანგრეულია გზები, სასმელი წყლის სათავე ნაგებობები და ქსელი. ზარალის ზუსტი რაოდენობა მოგვიანებით გახდება ცნობილი“,** – აღნიშნა სიბაშვილმა.

სავარაუდოდ, ყველაზე დიდი ზარალი დედაქალქში უნდა იყოს, თუმცა, შესაბამის კომისიას თვლა ჯერ ბოლომდე არ დაუსრულებია. წინასწარი ინფორმაციით, ზარალი თბილისში, სავარაუდოდ, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

ქალაქის სანიაღვრე სისტემები, პატარა მდინარეები აბსოლუტურად მიუხედავია. აღარავის ახსოვს, რომ ქალაქში არის მდინარეები, ხევები, რომლებსაც სჩვევიათ წყლის მოვარდნა. მეორე პრობლემა ის არის, რომ ასეთ ტერიტორიებზე

## ხომ გამოჩნდა, რომ ბუნება ათასჯერ უფრო მეტად მბრძანებელია, როცა ხელისუფლება უმაქნისია!

რაიმე ტიპის მშენებლობების ნებართვის გაცემა მკაცრ კონტროლზე უნდა იყოს აყვანილი.

საქართველოში არაეფექტურად ხორციელდება კატასტროფების რისკის მართვა, რომლებიც, პირველ რიგში, პრევენციული ღონისძიებების გატარებას გულისხმობს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება კი სივრცული განვითარების გეგმის შექმნაა, რომელიც დღეს თბილისში არ არსებობს.

თბილისის მერიისგან დაფუძნებული ფონდების მიერ ათეულობით მილიონი ლარი გაურკვეველი მიზნებისთვის გაიფლანგა. არ არსებობს თითქმის არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ, რისთვის და კონკრეტულად რაში იხარჯებოდა სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული თანხა.

შეუძლებელია იმ თანხების ზუსტი ოდენობის დადგენა, რომელიც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს წლების განმავლობაში სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან გადაეცემოდა. მარტო ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისთვის 2005-2011 წლებში საბიუჯეტო სახსრებიდან გადაცემული თანხების ოდენობა მინიმუმ 288 434 800 ლარს შეადგენს.

დედაქალაქისგან განსხვავებით, სტიქიურ მოვლენებს მსხვერპლი არ მოჰყოლია საქართველოს რეგიონებში, თუმცა ძლიერმა წვიმამ სერიოზული ზარალი მიაყენა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს – დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და განადგურდა ნათესები. 14 მაისის ინფორმაციით, რამდენიმე სოფელი კვლავაც მოწყვეტილია გარესამყაროს. ხელისუფლება ზარალს ითვლის. რა სახის დახმარებას უნდა მოელოდეს დაზარალებული მოსახლეობა?

ძლიერი წვიმის შედეგად აბობოქრებულმა სტიქიამ ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და აჭარა დააზარალა. ამ დრომდე მეტად რთული ვითარებაა ხულოს რაიონში. როგორც რაიონის გამგებელი თემურ ბოლქვაძე აღნიშნავს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას, სტიქიამ იქ 100-ზე მეტი ოჯახი დააზარალა: მიხეილ სააკაშვილი ფიქრობს, რომ სახელმწიფო მოსახლეობას მინიმალურად მაინც უნდა დაეხმაროს:

**„ზოგიერთ ადამიანს საერთოდ ყველაფერი გაუნადგურა. მინიმალური მაინც ზიანი ყველას უნდა ავუნაზღაუროთ. დაზარალებულ ოჯახებს, ყველაზე გაჭირვებულებს, სახელმწიფომ რაღაც მაინც უნდა აუნაზღაუროს. ეს უნდა გვესმოდეს, რომ რესურსები შეზღუდულია. ბევრად მეტი მინდა ამ ხალხს გავუკეთო, არაფერი რომ არ გავუკეთო, ეს წარმოუდგენელია. ამიტომ დავთვალოთ, ვნახოთ და უახლოეს დღეებში რაღაცა მივცეთ“.**

კონკრეტულად რა იგულისხმება პრეზიდენტის მიერ ნახსენებ **„რაღაცაში“,** ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კონკრეტიკაზე საუბარი შესაძლებელია რამდენიმე დღეში, ანუ მას შემდეგ, რაც ზარალის მასშტაბები შეჯამდება. პარალელურად, დამაიმედებელს ვერაფერს გვეუბნებიან სინოპტიკოსები. გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მთავარი სინოპტიკოსის დოდო გვაზავას მიერ რადიო „თავისუფლებისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, უახლოეს დღეებში წვიმა და, ზოგ შემთხვევაში, ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში.

## თვალში – ნაცარი

**კახეთში მიწების ნახევარზე მეტი დასამუშავებელია, ამ დროს კი პრეზიდენტის მიერ კახეთისთვის გაგზავნილი ტრაქტორები იყიდება. ყოველ შემთხვევაში, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელი ამტკიცებს, რომ სოფელ მანავთან პრეზიდენტისეულ ტრაქტორებს ყიდიან.**

**„მანავთან ის ტექნიკა დგას, რაზედაც სააკაშვილი ამდენს გველაპარაკება და რამდენიმე რაიონში ჰყავდა ჩაყვანილი. ზედ აწერია — „იყიდება“. გარედან აწერია ასე, გაკრული აქვს, რომ იყიდება“, — განაცხადა გურჯაანში ყოფნისას თინა ხიდაშელმა.**

# პოდიუმზე — სასოფლო ტექნიკა?!

## მანავთან „პრეზიდენტის ტრაქტორები“ დგას და ზედ აწერია - „იყიდება“



კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით კი, პრეზიდენტის გამოგზავნილი ტრაქტორები რეალურად მხოლოდ იმისთვის გამოიყენება, რომ „კამერების წინ პოდიუმზე იაროს“.

**„უნდა დამთავრდეს ის პერიოდი, როდესაც გვეუბნებოდნენ, რომ მთავარი პრიორიტეტი ის კი არ არის, რომ მევენახეს მიეხმარო, რომ ხეხილი ვისაც მოჰყავს იმას მიეხმარო, რომ სასუქი, ტექნოლოგიები, ტრაქტორები... პოდიუმის ტრაქტორებზე არა გვაქვს ჩვენ ლაპარაკი. ტრაქტორი უნდა მუშაობდეს ყანაში, ვენახში, გლეხის სამსახურში და არა „რუსთავი 2“-ის კამერების წინ პოდიუმზე დადიოდეს“,** — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ამ დროს კი კახეთში სათესი მიწების 60% დასამუშავებელია. სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე ცოტა მიწა ახმეტის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებშია დამუშავებული. მაგალითად, ახმეტის რაიონში არსებული 16 ათასი ჰექტარიდან 9 600 ჰექტარი დაუმუშავებელია; გურჯაანის რაიონში 13 ათასი ჰექტარიდან მხოლოდ 6 ათასამდეა დამუშავებული.

**„აბა, სად არის პრეზიდენტის გამოგზავნილი ტრაქტორი? მე არ მინახავს. 3 წლის წინათ 1 ტრაქტორი მისცა სოფელს — „ბელარუსი“. მეტრაქტორე დაჯდა და თუ ძალიან ბევრი ფული არ მიეცი, არ წამოვა. „სალიარკა“ ძვირია, გლეხები ვერა ხნავენ, ვერა თესავენ. ტრაქტორისტი ძვირს აფასებს და აბა, რა შეუძლია გლეხს. რა უნდა იშოვოს იმდენი, რომ 2 ლარი სალიარკაში მისცეს და 2 ლარისას კიდევ მეტრაქტორეართმევს.**

**აგე, მინდორი სულ იგრე არა გდია? ვინ არის პატრონი, არავინ. პარლამენტში სხედან და იმას არ ამბობენ, რომ გლეხ ხალხს მივხედოთო — ან სალიარკა მივცეთო, ან ტრაქტორიო. მარტო სხედან სკამზე და ფულს იღებენ, ეს გლეხი კიდევ გაუბედურებულია. 2 ჰექტარი ადგილი მაქვს და ვერ მომიხნავს, ერთი ჰექტარის მოხვნა 400 ლარი ჯდება, 400 ლარი სადა მაქვს?“** — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ვეჯინის მკვიდრმა ამბროსი ხარიტონიშვილმა.

ვეჯინში მცხოვრები ალბერტ იმედაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ გლეხებს 5 ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვთ დასამუშავებელი, მექანიზატორები არ ემსახურებიან.

შპს „მექანიზატორის“ გურჯაანის ორგანიზაციის მენეჯერის ავთანდილ იმერლიშვილის თქმით, მექანიზაციის ცენტრები რეგიონის რამდენიმე სოფელშია.

**„მექანიზაციის ბრიგადები სხვადასხვა სოფლებშია, გურჯაანშიც არის მექანიზაციის ორგანიზაცია, საიდანაც გლეხებს შეუძლიათ გაიყვანონ ტრაქტორები და მიწა დაამუშაონ. 1 ჰექტარის მოხვნა 115 ლარი ღირს თავისი საწვავით, პლუს გზის ფასი არის კილომეტრზე 1,50 ლარი.**

**ბაკურციხესა და კარდენახში მაგალითად, მექანიზაციის ცენტრი არ აქვთ. თუ მხოლოდ 2 და 3 ჰექტარი აქვთ დასამუშავებელი, არც ჩვენ ვემსახურებით იმიტომ, რომ გურჯაანიდან კარდენახამდე 15 კილომეტრია და ძვირი ჯდება გზის თანხა. ასეთი სოფლის მოსახლეობა, ვისაც დასათესი ან მოსახნავი აქვს, კულტივაცია აქვს ჩასატარებელი, უნდა მივიდეს გამგეობაში, ჩამოწერენ ვის რა ფართობზე აქვს სამუშაოები ჩასატარებელი და გადავალთ 2-3 დღით იქით.**

**ჩალაუბნის მექანიზაციის ცენტრი მთელი კახეთის ზონის მექანიზაციის ორგანიზაციების მარეგულირებელი იქნება. ადრე რომ იყო საქსოფტექნიკა, დაახლოებით ასეთი ტიპის ორგანიზაცია იქნება“,** — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ავთანდილ იმერლიშვილმა.

ჩალაუბანში მექანიზაციის რეგიონალურ სერვისცენტრს საქართველოს პრეზიდენტი უახლოეს დღეებში გახსნის. სერვისცენტრის მშენებლობა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. ბოლო 4 დღის განმავლობაში კი სერვისცენტრს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოყვანილი ტრაქტორებით და კომბაინებით ავსებენ.

**გიორგი ბექაური,**
Presage.tv

## შეხვედრა

**რუსლან კოკოევი ჯავაში ცხოვრობს. იგი სტამბოლში, სადაც ოთხი დღის განმავლობაში ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგი მიმდინარეობდა, ქართველ კოლეგებთან შესახვედრად ჩავიდა. ქართველები და ოსები ძალიან გახსნილად და გულწრფელად საუბრობდნენ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც დღეს კონფლიქტის მოგვარებას ხელს უშლის. რუსლანს დიდი ხანია გორის რაიონში მცხოვრები ნათესავები არ უნახავს. მისი აზრით, სამოქალაქო დიალოგის გაგრძელება აუცილებელია, რათა ნდობის აღდგენას ჩაეყაროს საფუძველი; ადამიანების მიმოსვლისთვის გზის გახსნაც აუცილებელია, მაგრამ ამას ჯერ დრო სჭირდება.**

# „პროგრესის ნიშნები აშკარაა“

## ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგი, შეფასება - ფრიადი



**„ნებისმიერი შეხვედრა, ნებისმიერი კონტაქტები ყოველთვის ხელს შეუწყობს დაახლოებას. არსებითად ჩვენ დაახლოება არც გვჭირდება, ჩვენ ისედაც ახლოს ვართ. ის, რაც მოხდა, უნდა დავგმოთ, დავგმოთ ისინი, ვინც ეს გააჩაღა. ჩემი დეიდაშვილი გორში ცხოვრობს. მის შესახებ დიდი ხანია, არაფერი ვიცი. ჩემი ნათლულიც ცხინვალიდან არცთუ მოშორებითაა, მაგრამ მის შესახებაც არაფერი მსმენია. განა ეს სწორია?“** — კითხვას სვამს რუსლანი.

„თვალსაზრისი“ — ასე ჰქვია სამოქალაქო დიალოგის ფორმატს, რომელიც ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ორგანიზებით 2008 წლის დეკემბერში შეიქმნა. დღემდე 11 შეხვედრა გაიმართა და მხარეების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შეხვედრიდან შეხვედრამდე პროგრესი თვალში საცემია. ოსური და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები კი სულ უფრო გულწრფელები და გახსნილები ხდებიან. მანანა მეზუკე ქალთა სამშვიდობო მოძრაობის ლიდერია. იგი ამ პროცესში თავიდანვე მონაწილეობს. მისი აზრით, ასეთი შეხვედრები კარგი საშუალებაა ინფორმაციის გასაცვლელად და ახალი იდეების განსახორციელებლად. მისი თქმით, კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით ცნობიერებაც უკეთესობისკენ იცვლება.

**„გაიზარდა მონაწილეების რაოდენობა, რომლებმაც შეიძლება სწორი და კომპეტენტური ინფორმაცია მიიტანონ ადგილებზე და ამით შეცვალონ დანარჩენი საზოგადოების ცნობიერება და დამოკიდებულება უშუალოდ ომისა და სამშვიდობო პროცესებისადმი. ამ შეხვედრაზე უფრო გახსნილები ვართ, დიალოგი გულახდილია, ნდობის მანდატი გაჩნდა“,** — ამბობს მანანა მეზუკე.

დიალოგში კონფლიქტოლოგები, ჟურნალისტები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ ფორმატის თავისებურება ისაა, რომ ნებისმიერი ადამიანი მასში მონაწილეობს როგორც კერძო პირი და თავისი ორგანიზაციის პოზიციას არ გამოხატავს. აღსანიშნავია, რომ დისკუსიაში ქართული და ოსური სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. მონაწილეებიც და ორგანიზატორებიც პროცესს განიხილავენ, როგორც სახალხო დიპლომატიის მიმართულებას. დიალოგში ქართული და ოსური მხრიდან 8-8 ადამიანი მონაწილეობდა. სამოქალაქო დიალოგის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესი შეხვედრიდან შეხვედრამდე იზრდება. საზოგადოებრივი დიალოგის ამ რაუნდს 14 უცხოელი სტუმარი აკვირდებოდა. მონაწილეებმა გაცვალეს ინფორმაცია როგორც თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთში, ისე საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. გაიმართა დისკუსია იმ ბარიერების თაობაზე, რომლებიც ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებას ხელს უშლის. ოსმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ, ახალი ხელისუფლების ფორმირების პარალელურად, ცხინვალში სამოქალაქო სექტორის განვითარების კუთხით ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. ქალთა სამშვიდობო მოძრაობის წევრის ლირა კოზაევას აზრით, სამოქალაქო დიალოგის ფორმატშიც თამასა სულ უფრო მაღლა იწევს. მონაწილეები, მიუხედავად განსხვავებული თვალსაზრისისა, ერთმანეთისადმი პატივისცემით არიან განწყობილნი, რაც ფორმატის სწორ მიმართულებაზე მეტყველებს. კოზაევამ სტამბოლის შეხვედრას ფრიადი დაუწერა.

**„მე ძალიან ბევრი გავიგე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და ვფიქრობ, რომ ქართველებმაც ბევრი შეიტყვეს სამხრეთ ოსეთის ვითარების ირგვლივ. ეს ჩვენ დიდ პლატფორმას გვაძლევს მომავალი საქმიანობისთვის იმ ნიშაზე, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ“, — აცხადებს ლირა კოზაევა.**

კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, პოლიტიკური დიალოგის დეფიციტის პირობებში ბუნებრივია, რომ ინტერესი სახალხო დიპლომატიის მიმართ იზრდება, თუმცა პოლიტიკური დიალოგის გარეშე საქმე წინ მაინც ვერ წავა. ამიტომ უცხოელი დონორები ცდილობენ, რომ დიალოგი ამ დონეზე მაინც შენარჩუნდეს.

**„ფორმატი ზოგადია და მრავალ პროექტს უყრის თავს. მრავალი ქართულ-ოსური პროექტისთვის არის მოედანი, სადაც შეიძლება იდეები დაიყაროს, ბევრი უარყოფილ იქნეს, მაგრამ რაც რჩება, საკმაოდ კარგი მარგალიტებია და ეს, რა თქმა უნდა, იძლევა საშუალებას შემდეგი ნაბიჯები გადავდგათ. მიმაჩნია, რომ ამ შეხვედრაზე სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა წინ. ყველა შეხვედრაზე პროგრესია და ეს უკვე პროცესად არის ქცეული“,** — ამბობს პაატა ზაქარეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ დისკუსიის პირველი ნაწილი — საუბარი ცხინვალსა და თბილისში არსებული პოლიტიკური ვითარების თაობაზე — მალე საჯარო გახდება და მისი ჩანაწერი ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. შეხვედრის ორგანიზატორი, მეისონის უნივერსიტეტის პროფესორი სიუზან ალენ ნანი, ამბობს, რომ ეს შეხვედრები მონაწილეებს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაუგონ ერთმანეთს და მიიღონ ინფორმაცია ორივე მხარეს არსებული ვითარების შესახებ, რათა გაუმჯობესდეს ადამიანების ცხოვრება, აღმოიფხვრას წარმოქმნილი პრობლემები და, უბრალოდ, განმტკიცდეს ნდობა.

**„სამი წლის შემდეგ პროგრესის ნიშნები აშკარაა. მახსოვს, დასაწყისში ჩვენი შეხვედრების შესახებ არაფერი ქვეყნდებოდა. ახლა უკვე გვაქვს პრესრელიზი. ახლა უკვე აღარავინ მალავს, რომ მხარეები ხვდებიან ერთმანეთს. ყოველთვის გაკვირვებული ვარ, რადგან შეხვედრის დასაწყისში არ ვიცი, რა იდეები იქნება, მაგრამ ბოლო დღეს უკვე შემოქმედებითი პროცესია ადამიანებს შორის და აქაც მესამე დღეს უკვე აღმოვაჩინეთ მიმართულება მომავლისკენ“,** — აცხადებს სიუზანალანნანი.

შეხვედრაზე გაჩნდა იდეა, რომ სამოქალაქო დიალოგის ერთი რაუნდი ერგნეთში, ეგრეთ წოდებულ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ჩატარდეს, რაც მომავალში სამოქალაქო დიალოგის ახალ ფორმატს ჩაუყრის საფუძველს, თუმცა ამ იდეის განხორციელებისთვის პოლიტიკური ნებაც საჭიროა და ეს მხოლოდ ქართული და ოსური საზოგადოების სურვილით ვერ განხორციელდება.

**სტამბოლის შეხვედრის ჩატარება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და მშვიდობის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.**

**გოგა აფციაური,**
რადიო „თავისუფლება“

⦿ კერძო აზრი

**უწინარესად, შევთანხმდეთ — ნუ შეგვაშინებენ სიტყვები: „ფსიქოთერაპევტი“; „არქეტიპი“; „სოციოპათია“ და სხვანი. ჩვენში დიდი ხანია დამკვიდრდა აზრი, რომ ყველაფერი, რაც „ფსიქოს“ უკავშირდება, ფსიქიკურ დაავადებას ნიშნავს — სისულელე და უმეცრებაა! არსობრივად სოციოპათია ადამიანის ხასიათს ნიშნავს. საუბარი იმაზე, თუ როგორ უნვითარდება ადამიანს ასეთი თუ ისეთი ხასიათი, შორს წაგვიყვანს... ამჯერად, ეს ტერმინი რომ არ გვძაბავდეს, პირობითად სოციოპათებს „ენერგიულები“ დავარქვათ.**

რა ხასიათისაა ასეთი „ენერგიული“ ადამიანი? მისთვის სხვები მხოლოდ ყოველმხრივ გამოსაყენებელი „მასალაა“ — მატერიალურად, ზნეობრივად, ინტელექტუალურად, ორგანიზაციულად, სულიერად... სულ უბრალოდ რომ ვთქვათ, ასეთი ხასიათის ადამიანს სხვები ადამიანებად არ მიაჩნია — რაღაც არსებებია, რომლებიც მისი, ერთადერთი **ადამიანის**, საჭიროებისთვის არსებობენ. მის გარშემო ყველა, მეტად თუ ნაკლებად, უხერხულად გრძნობს თავს — „სხვის ჭკუაზე სიარული“ ძნელია. ის კი სულაც არ წვალობს — არ სცალია: მუდამ ძიებაშია, რომ კიდევ ვინმე თავის ჭკუაზე მოიყვანოს...

ამ ტიპის ადამიანისთვის სოციუმი, მისი გარემოცვა, საზოგადოება უმნიშვნელოვანესია — ცხოვრების შინაარსიცაა და მიზანიც. თავის თავით კმაყოფილება მის მიერ სოციუმის წარმატებულ მართვაშია: სოფლის ავტორიტეტისთვის — სოფელია; დაწესებულების ხელმძღვანელისთვის — მისი კოლექტივია; ქალაქის მერისთვის — ქალაქია; პრეზიდენტისთვის კი მთელი ქვეყანაა. მართალია, მართვა ძნელია, ვინაიდან გარშემო სხვადასხვა ხასიათის და ჭკუის ადამიანები არიან. ამიტომაც „ენერგიულები“ ნაკლებად ემოციური არიან, უბრალოდ რომ ვთქვათ — გულცივები. მათი ცხოვრების სტილი მანიპულაციებია. ამ სიტყვისაც ნუ შეგვეშინდება. მანიპულირება სხვა არაფერია, თუ არა თითოეულისთვის „თავისი გასაღების მორგება“ და ამით სხვათა მოსაზრებების და მიზნების არაფრად ჩაგდება. ეს კარგიცაა და ცუდიც. კარგია, ვინაიდან „ენერგიულისთვის“ ასე უფრო მოხერხებულია. ცუდია, ვინაიდან ეს რეალობას ეწინააღმდეგება და მანიპულირებას უშლის. რაც უფრო დიდია გარემოცვა-სოციუმი, მით უფრო ძნელია მასში ადამიანებით მანიპულირება — მათი მართვა. ჩვენც „ენერგიულები“ ვართ — გარემოცვა-სოციუმზე დამოკიდებულება გვიკარნახებს შეგუებას, ანგარიშის გაწევას, საერთო შეხების წერტილებს პოვნას. ამაში და კერძო პრობლემების მოგვარებაში ვიხარჯებით. მაგრამ გადამეტებულად შემტევები, აგრესიულები არა ვართ. ისეთებს კი (შემტევებსძ, ფსიქოლოგიაში პირობითად „მგლები“ ეწოდა. ჩვენთვის ეს ტერმინიც ცოტა უხეშად ჟღერს — დავარქვათ მათ **„მძაფრად ენერგიულები“**. ასეთი ადამიანები მეცნიერებამ სხვადასხვა დონეზე განალაგა.

**ქვედა დონე** ყველაზე პრიმიტიულია. ამ დონეზე მყოფი „მძაფრი ენერგიულისთვის“ მეტად საწყენია, როდესაც მას ადამიანის მართვა არ გამოსდის. უსუსურობის შეგრძნებით გამოწვეული მრისხანებისგან პრიმიტიული დონის „მძაფრი ენერგიულისთვის“ **თავდაცვა** კონტროლში და სათანადო რეაგირებაშია.

**საშუალო დონეზე** „მძაფრი ენერგიულის“ თავდაცვა ჯერ სხვებისთვის საკუთარი მოსაზრების მიწერაა. შემდგომ კი ის ადამიანს არა მარტო ანიჭებს საკუთარ ნააზრევ-ნაფიქრალს, არამედ ამ მინიჭებული ნააზრევ-ნაფიქრალის თანახმად სათანადო ქცევასაც ავალებს. საერთოდ „მძაფრი ენერგიულის“ დამახასიათებელი თვისებაა: ვერ იწინასწარმეტყველოს საკუთარი ქმედებების შედეგები. განგაშის მდგომარეობაში კი მისი რეაქცია მოულოდნელია: სულელური, ისტერიული ბრალდებიდან საფუძვლიანად მოფიქრებულ დაუნდობელ დასჯამდე.

**სააკაშვილი.** ხელისუფლებას ერთხელ წამოსცდა, რომ 70 წლის განმავლობაში ერის მენტალობა უნდა შეცვალოს... ოდნავ მოგვიანებით, ამ სტრატეგიულ გეგმაში მან შესწორება შეიტანა: 15 წლის განმავლობაშიო... ორივე შემთხვევაში ადამიანს უჩნდებოდა კითხვა: რის საფუძველზე მოაფიქრდა ხელისუფლებას 70-წლიანი ან 15-წლიანი ვადა? პირველ შემთხვევაში მეხსიერება, უნებლიეთ, 70-წლიან კომუნისტურ მმართველობას გვკარნახობდა. მეორე შემთხვევაში იგივე მოგონება გვიზუსტებდა: კონკრეტული წყობილების ეპოქა კი არ იგულისხმებოდა, არამედ კონკრეტული პიროვნების მმართველობა. შესაძლოა, წინა ეპოქით ტრავმირებულებს და კომპლექსებით დატვირთულებს, ჩვენი მეხსიერება მახეს გვიგებდა — ცრუ მოსაზრებებს გვიდებდა ჩვენში. ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება — ნუ ამბობ იმას, რაც ცუდად გაგებება და რაც, ამავე დროს, ადამიანს აფრთხობს და ძაბავს. ჩნდება კითხვა: რა აფრთხობს და რატომ ძაბავს? კომუნისტური მმართველობის მაგვარი რამ, რასაკვირველია, არ გვემუქრება, მაგრამ მიუხედავად ქვეყანაში ბევრი საჭირო და სასიკეთო ცვლილებისა, დღევანდელი რეალობა გვაღელვებს და გვძაბავს. საქმე ის არის, რომ ჩვენთან ყველა პროგრესული ცვლილება დემოკრატიის მხოლოდ თანმხლები კომპონენტია — გვაღელვებს და გვაფრთხობს დემოკრატიის ქვაკუთხედის არარსებობა: **ხელისუფლება საზოგადოებას აღიქვამს როგორც მომაბეზრებელ, ჭირვეულ ბავშვს, რომელიც, მის სასიკეთოდ, ზოგჯერ უნდა დასაჯო ან შეაქო, ზოგჯერ არ მიაქციო ყურადღება ან ოდნავ წაახალისო, ზოგჯერ დატუქსო ან ჭკუა დაარიგო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აჰყვე!... მოკლედ, ჭირვეულ ბავშვს (საზოგადოებას) მკაცრი პედაგოგიური მიდგომა და აღზრდა ესაჭიროება.** სწორედ ასეთი დამოკიდებულებაა ჩვენი აღელვების და კრიტიკის მიზეზი. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ჩვენ თითქოს უკვე შევეგუეთ ყოველდღიურ ყოფაში სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებულ ცხოვრების წესს: **„ფორმალურად ყველაფერი სწორია, სინამდვილეში კი ეს ადამიანის აბუჩად აგდებაა“.**

# სოციოპათების მეტოქეობა



**მაღალ დონეზე** „მძაფრ ენერგიულს“ უკვე შეუძლია სხვა ადამიანთა ინტერესების გათვალისწინება და ამ ინტერესების დაკმაყოფილებაში საკუთარი სარგებლის დანახვაც. ესე იგი მას უკვე შეუძლია საკუთარი ქმედებების შორეული შედეგები წინასწარ გაიაზროს.

უფრო მაღალ დონეზე გადაყვანის პროცესში „მძაფრ ენერგიულს“ მასთან მოსაუბრე ფსიქოლოგი მიზნისკენ სწრაფვის რამდენიმე ვარიანტს (მათი პლუსებით და მინუსებითძ სთავაზობს — ამ ვარიანტებიდან უფრო გამოსადეგის ამორჩევას ასწავლის. ამ მეთოდით „მძაფრი ენერგიული“ უფრო მაღალ დონეზე გადადის.

თითქოს ალოგიკური და დაუჯერებელია, მაგრამ ჩვენ გვიყვარს „მძაფრი ენერგიულები“. ისინი არიან ჩვენი წიგნების, ფილმების გმირები და საინტერესო საგაზეთო სტატიების პერსონაჟები. თუნდაც როგორც მანიპულირების ობიექტები, ჩვენ მათთვის საინტერესონი ვართ და ეს გვსიამოვნებს. თუ თქვენ „მძაფრი ენერგიულის“ უახლოეს გარემოცვაში აღმოჩნდებით — მისი უპირობო თანადგომით და დაცვით ისარგებლებთ. მართალია, მას, მხოლოდ ჰგონია, რომ ვინმე უყვარს. ვინაიდან საკუთარ თავში და სხვებში სისუსტე სძაგს და მხოლოდ ძალას აღიარებს. ასეთ მკაცრ ჩარჩოებში კი სიყვარული არ ხარობს.

**ივანიშვილი.** მისმა საჯარო გამოჩენამ საზოგადოებას ბევრი (დღემდე უპასუხოძ კითხვა გაუჩინა. წლების განმავლობაში ივანიშვილს მდიდარი, იდუმალი, ქველმოქმედის სახელი ჰქონდა. საზოგადოებისთვის ეს სრულიად მისაღები, პოზიტიური „პორტრეტის“ შექმნის მხოლოდ დასაწყისი იყო. იდუმალი ქველმოქმედი ინტელიგენციაზე აშკარად იმედის მომცემ ზემოქმედებას ახდენდა — ბიძინა ივანიშვილი ფანტასტიკურად პოპულარული იყო. ასეთი „პორტრეტის“ გამყარება საზოგადოებასთან პირდაპირ ურთიერთობას მოითხოვს, მაგრამ ეს არ მომხდარა — ივანიშვილმა საზოგადოებას (წინასწარი შემზადების გარეშეძ მოულოდნელად აუწყა, რომ პოლიტიკაში უკვე შემოიჭრა... ჯერ სანახევროდ შექმნილი მისი ადრინდელი „პორტრეტი“ დაინგრა. დამსხვრეულის ნაცვლად მან საზოგადოებას თავისი ახალი, ნედლი „მეოცნების პორტრეტი“ წარუდგინა, რამაც, სრულიად კანონზომიერად, ხალხში დაბნეულობა და დუმილი გამოიწვია — ოცნება პოლიტიკაში არამყარობის, მიუწვდომლობის მანიშნებელია...

**ორი მეტოქე.** „მძაფრი ენერგიულების“ დონიდან სხვა დონეზე გადაყვანა შესაძლებელია, მაგრამ მათი პიროვნული შეცვლა შეუძლებელია და **ეს არცაა საჭირო! საზოგადოებას ძალიან სჭირდება მაღალი დონის „მძაფრი ენერგიულები“. საერთოდ ხელისუფლებისკენ მხოლოდ ასეთები მიილტვიან — „წმინდანებს“ მანდ არაფერი ესაქმებათ. ერთი რამ ცხადზე ცხადია: ხელისუფლებაში მოსული „მძაფრი ენერგიულების“ დონე განსაზღრავს ერის და ქვეყნის კეთილდღეობას.**

მოგვწონს თუ არა, ფაქტი ფაქტად რჩება: დღეს საქართველო ორიდან ერთი „მძაფრი ენერგიულის“ არჩევის წინაშე დგას. ინტელიგენციის დაბნეულობის მიზეზი იოლად ამოსაცნობია: ორივე მეტოქის ბანაკში ჭარბად არიან ისეთი ადამიანები, რომლებზეც ინტელიგენცია მოკლედ და დამატებითი კომენტარების გარეშე ამბობს: **„ეს ადამიანი წესიერ ოჯახში არ შეიშვება“.**

სადღეისოდ საზოგადოება საინტერესო პროცესების მოწმე გახდა: სახელისუფლებო ბანაკში დაიწყო ფუსფუსი და პოლიტიკური „ეკვილიბრისტიკა“, რაც არაორაზროვნად კონტრპროდუქტიული იყო... ივანიშვილის პოლიტიკურ კოალიციაშიც კი თავი იჩინა შიდა ფუსფუსმა და ინტრიგებმა. ესეც, აგრეთვე, კონტრპროდუქტიულ აქტიურობაზე მიანიშნებდა... თუ სახელისუფლებო გუნდის აქტიურობა პრეზიდენტის მიერ იყო ინიცირებული, ივანიშვილის კოალიციაში თვით მისი გარემოცვა იყო შიდა არეულობის ინიციატორი. ამრიგად, სადღეისიოდ ხელისუფლებაში მიმდინარე კონტრპროდუქტიული პროცესების მოწესრიგება თვით მათ ავტორს უწევს, კოალიციაში კი — ლიდერს, მის მიერ მოძებნილ და შეკრებილ ავტორთა „მორჯულება“ აკისრია. მთლიანობაში ეს ორი სიტუაცია „ენერგიულის“ გარშემო ხშირად წარმოქმნილ კონფლიქტურ სურათს ქმნის.

**ამიტომ, ძვირფასო თანამემამულენო, დააკვირდით ხელისუფლებაში მყოფ და ხელისუფლებისთვის მებრძოლ ორ „ენერგიულს“ — ეცადეთ, გამოიცნოთ მათი დონე და მიემხროთ იმას, რომლის დონეც უფრო მართალი მოგეჩვენებათ!**

მალხაზ ჟვანია,
პოლიტტექნოლოგიების და
საინფორმაციო პოლიტიკის ექსპერტი

⦿ თვითნებობა

## გაუჩინარებული საკუთრებების საქმე საქართველოში

**ბოლოდროინდელი ტექნოლოგიური განახლების პროცესი საქართველოში ქვეყნის მესაკუთრეთათვის ერთგვარ კატასტროფად იქცა.**

2007 წელს საქართველომ USAID-ის დაფინანსებით მიწის რეგისტრაციის ჩანაწერების ციფრულ ფორმატში გადატანა დაიწყო. ამ ძალისხმევის მიზანი ინვესტორების თვალში ქვეყნის რეპუტაციის ამოღება იყო. ამის ნაცვლად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ გამოძიების თანახმად, კერძო მესაკუთრეთა ასობით მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდა.

ასეთი შემთხვევები ყველაზე ხშირად აჭარასა და სვანეთში ფიქსირდება, ადგილებში, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთავარ დეველოპერულ პროექტებს ავითარებს.

საერთაშორისო გაჭვირვალობა ამას საკუთრების უფლების „სერიოზულ დარღვევას“ უწოდებს. მაგალითად, ქართველი ომარ აქუბარდია 2007 წელს რუსეთიდან ქალაქ ანაკლიაში დაბრუნდა და სანაპირო სახლის კეთილმოწყობაზე 160 000 დოლარი დახარჯა. სამი წლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიაში მეგა-ტურისტული განვითარების პროექტის დაწყების შესახებ გამოაცხადა — პროექტი აეროპორტის და პორტის მშენებლობასაც გულისხმობდა.

თავდაპირველად, აქუბარდია პროექტმა აღაფრთოვანა. მაგრამ, როდესაც ის შეეცადა საკუთარი ქონება ხელახლა დაერეგისტრირებინა ციფრულ მონაცემთა ბაზაში, აღმოაჩინა, რომ საკუთარ მიწაზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა. როგორც Eurasianet იუწყება: „ის ამტკიცებს, რომ იგი საქმის კურსში არ ჩააყენეს, მის მიწას რეგისტრაციის კოდი შეუცვალეს და ახალი GPRS (General Packet Radio Service) მისამართი მიანიჭეს. საბოლოოდ, მთავრობამ ეს მიწა 2009 წელს ანაკლიას ახალი პორტის მშენებლობაზე პასუხისმგებელ კერძო კომპანიას მიჰყიდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელი გვილავა მთავრობას გაუმართავი სისტემის გამო ადანაშაულებს. რეგისტრაციის ძველი დოკუმენტაცია, როგორც ჩანს, არ იქნა თანაბრად განახლებული ახალ სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ, ვინც საკუთარი ქონება ციფრული რეგისტრაციის დაწყებამდე დაარეგისტრირა, ხშირ შემთხვევაში ბაზაში არ მოხვდა, და მათი საკუთრების უფლება გაქრა“.

მთავრობა ამ ბრალდებებს უარყოფს და აღნიშნავს, რომ მათ ძველ არქივებში „ამომწურავი ძიება“ ჩაატარეს.

ამანდა ერიქსონი,
„Atlantic“

◎ სადაზღვევო ბაზარი

# მთავარია, რას „დაანათლებენ“

**მაისი საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მეტად მნიშვნელოვანი სიახლით გამოირჩა, რომლის შესახებ ლაპარაკი კულუარებში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო, მაგრამ ოფიციალურად ეს ამბავი მხოლოდ თვის დამდეგს გახდა ცნობილი.**

მნიშვნელოვანი სიახლე კი ისაა, რომ საქართველოს ყველაზე დიდ სადაზღვევო კომპანიათა პირველი ხუთეულის ორი წევრი – „ალდაგი BCI“, რომელსაც მანამდე ბაზრის 17,11 პროცენტი ეკუთვნოდა და „იმედი L“, რომელსაც ბაზრის 16,8-პროცენტიანი წილი ჰქონდა, შეერთდნენ. ერთი შეხედვით, ორი კომპანიის გაერთიანებაში დიდად გასაკვირი არაფერია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სადღეისოდ მოქმედ 16 სადაზღვევო კომპანიას შორის „ალდაგი BCI“, და მისი აწ უკვე ყოფილი კონკურენტი „იმედი L“, მოწინავე პოზიციებს იკავებდნენ, მათი გაერთიანება სადაზღვევო ბაზრის მონოპოლიზაციის ლიანდაგზე შედგომას ნიშნავს, ვინაიდან გაერთიანების შედეგად, რომლის პროცესი რამდენიმე თვეს გასტანს, „საქართველოს ბანკის“ კუთვნილი ბაზრის თითქმის მეოთხედი წილის მქონე „ალდაგი“ ქვეყანაში უმსხვილესი კომპანია გახდება. რაც შეეხება გარიგების დეტალებს, „იმედი L“-ის მფლობელებმა – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRDძ, „იმედი L ჰოლდინგმა“ და შპს „მეტამ“ – „ალდაგს“ კომპანიის აქციების 85 პროცენტი მიჰყიდეს, დანარჩენი 15 პროცენტის თაობაზე მხარეებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. „ალდაგისა“ და „იმედის“ შეერთების შედეგად ახალი კომპანია საქართველოში უმსხვილესი ჰოსპიტალური სექტორის მფლობელი გახდება, რომლის 26 საავადმყოფო 1200 საწოლზეა გათვლილი, ხოლო დაზღვეულთა მთლიანი რიცხოვნობა 420 ათას კაცზე მეტია.



მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე მოარული ჭორით „ალდაგი“ „იმედი L“-ის „გადასანსლას“ აპირებდა, რასაც, უწინარესად ამ უკანასკნელის საკმაოდ სოლიდური დავალიანება განაპირობებდა (კერძოდ, ათი ახალი თანამედროვე საავადმყოფოს აშენების ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად მხოლოდ ექვსი ჰოსპიტალი აიგოძ, ახლანდელი განცხადებით, ეს, უბრალოდ, „სარფიანი კომერციული გარიგებაა“. „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, წლის დამლევამდე „იმედი L“ სრულად ინტეგრირდება „ალდაგი BCI“-ს სტრუქტურაში, ხოლო უახლოეს წლებში სადაზღვევო საქმიანობის წილი ბანკის მთლიან შემოსავალში 10 პროცენტამდე გაიზრდება. რაც შეეხება „იმედი L“-ის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებს, რაც ასაშენებელ ოთხ ჰოსპიტალს ეხება, ბანკი „ალდაგში“ 32,5 მილიონ ლარის დაბანდებას გეგმავს.

ახალი სადაზღვევო კომპანიის მომავალი სახელწოდება უცნობია, ისევე, როგორც გაურკვეველია მისი „ნათლობის“ დრო, თუმცა ვფიქრობთ, ეს მაინც არსებითი არ არის. ჩვენი აზრით, შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია ორი სხვა ასპექტი. ერთი, რომ საქართველოს კიდევ ერთ სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტებზე გაცილებით ძლიერი კომპანია გაჩნდა, თუმცა კი „ალდაგისთვის“ მსგავსი შეერთება ახალი ამბავი არ არის, რადგან თავის დროზე მან კომპანია „BCI“ შემოიერთა. მაგრამ ახლა საქმე მანამდე მის მიერ სადაზღვევო ბაზრის დაკავებული წილის ფაქტობრივ გაორმაგებაშია, რაც დანარჩენ 14 კონკურენტ სადაზღვევო კომპანიას აშკარად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროში, მართალია კი აცხადებენ, რომ ბაზრის მონოპოლიზაციას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, მაგრამ ქმედითი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის უქონლობა დანაპირების შესრულებას ერთგვარად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მეორე მომენტი კი, არსებითად, თავად სადაზღვევო პაკეტების პირობებს, მათ ფასს და, რაც მთავარია, სამედიცინო მომსახურების ხარისხს ეხება. თქმა არ უნდა: **თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილ კლინიკებში სამედიცინო მომსახურება საოჯახო მედიცინის ცენტრებთან შედარებით, რომლებმაც ადრინდელი რაიონული პოლიკლინიკები ჩაანაცვლეს, შეუდარებლად მაღალია.** იგივეს თქმა შეიძლება თავად სამედიცინო მომსახურების მენეჯმენტზე, პერსონალის კვალიფიკაციაზე. მაგრამ პრობლემის მთავარი ასპექტი მაინც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტების შინაარსი და მისი შესაბამისი ფასი, სხვა სიტყვებით, ხელმისაწვდომობა იქნება.

**სხვა მხრივ კი, თუ რას დაარქმევენ „ნათლიები“ ახალ კომპანიას, არსებითი ნამდვილად არ არის: მთავარია ის, რასაც „დაანათლებენ“.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ პოტიომკინის სოფელი

# რეფორმები, „რომლებმაც შექრა მსოფლიო?!“

**ბატონ მიხეილ სააკაშვილის მიერ გატარებულმა რეფორმებმა თურმე უფრო ძლიერად „შეძრეს მსოფლიო“, ვიდრე იმ „ათმა დღემ“, რაზეც თავის დროზე წერდა ამერიკელი ჟურნალისტი.**

აშშ-ის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს რეფორმების გატარებისთვის „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. აღფრთოვანებული იყო ევროპა, აზია, აფრიკა. საქართველოში ჩამოდიოდნენ სხვა ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლები, რათა გადაეღოთ და გადაეწერათ ყველაფერი, რაც საქართველოში გატარდა, რომ შემდეგ თავიანთ ქვეყნებში შეუცვლელად დაეკანონებინათ...

გატარებული რეფორმებით დავამარცხეთ კორუფციაო, ბრძანებს ბატონი პრეზიდენტი, და გაკვირვებულია ბევრი ჩვენი მოქალაქე. მათ იციან, რომ კორუფციაა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ამერიკაში და სხვაგანაც. საქართველოში კი იგი თურმე საერთოდ აღარ ყოფილა.

თურმე... თურმე... თუმცა კორუფციის დამარცხების და რეფორმირების საკითხი ქალაქ ბოლნისის სასმელი წყლით მომარაგების კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ.

ქალაქ ბოლნისში, 2008 წელს წინასაარჩევნო კომპანიის პერიოდში, ჩამობრძანებულმა ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, „თქვენ გექნებათ ევროპული სტანდარტებით მოწყობილი კანალიზაცია (?ძ და სასმელი წყალი 24-საათიანი გრაფიკითო (ბატონ პრეზიდენტს, ალბათ, სურდა ეთქვა, ბოლნისს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებაოძ.

მას შემდეგ ბოლნისში სასმელი წყლის მოწოდება უფრო გაუარესდა, კანალიზაცია კი საერთოდ არ გაკეთებულა.

სავალალო მდგომარეობაშია ბოლნისის სასმელი წყლის ქსელი. ამ გაზაფხულზე, როცა სისტემაში წყლის წნევამ ოდნავ მოიმატა, ბევრ ქუჩაში ამორტიზებული მილებიდან გამოჟონილმა წყალმა ამოხეთქა. ონკანებში კი წყალი წვეთობით მოდის (როცა გრაფიკით მოსახლეობას მიეწოდებაძ. ადგილობრივ ხელისუფლებას ერთი გრძივი მეტრი მილის გამოცვლის შესაძლებლობა არა აქვს, რადგან ეს უფლება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეცა.

სასმელი წყლით ქალაქის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ერთმა ბოლნისელმა ბოლნისის წყალმომარაგების ძველი, გაუქმებული მაგისტრალური წყალსადენის აღდგენა მოინდომა და ნებართვისთვის სათანადო სტრუქტურებს თხოვნით მიმართა. ქონების მართვის სამხარეო სამსახურში რომ გაიგეს ბოლნისში თურმე უმოქმედო სქელკედლიანი მაგისტრალური წყალსადენი არსებობსო... თუ გურულებს დავესესხებით, „მოვარდნენ, წყალსადენს ეზრდლვნენ, მილები ამოყარეს და წაიღეს“.

რა ჰქვია ხელისუფლების ასეთ მოქმედებას?

როგორც ბატონი პრეზიდენტი ბრძანებს: **„მე ავაშენე ბათუმი, მე ავაშენე სიღნაღი, მე ავაშენე პლეხანოვიო“,** მაშინ მან ისიც უნდა აღიაროს, რომ ბოლნისის მაგისტრალური წყალსადენის „დაყაჩაღება“ მისი დასტურით მოხდა.

ხელისუფლების დაბალ დონეზე კორუფციის „დამარცხება“ ჩვენი ხალხისთვის დიდი ნუგეში არ არის, რადგან ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მან არნახულ სიდიდეებს მიაღწია და, როგორც ვხედავთ, ინსტიტუციური სახე მიიღო. დაუჯერებელია, რომ ბოლნისის მაგისტრალური წყალსადენის ათასობით ტონა მილი, ისე გაიყიდა, რომ პირველმა „ვიოლინომ“ არაფერი იცოდა(?ძ.

ერთი სიტყვით, რეფორმებმა, რომლებმაც „შეძრეს მსოფლიო“, გააძლიერეს და გაამდიდრეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი „ჩინოვნიკები“, ხოლო ხალხს საკუთარ ქვეყანაში შრომის უფლებაც წაართვეს.

როგორც პრესა იუწყება, საქართველოში გატარებული რეფორმების რეკლამირებისათვის ბატონ პრეზიდენტს შეუქმნია „საერთაშორისო თანამშრომლობის საქართველოს სააგენტო“.

...დიდება შენდა, ღმერთო!

**ნუგზარ კობახიძე**

◎ სახელმწიფო შესყიდვები

# მიმწოდებლის ინტერესებიდან გამომდინარე?!

**ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა რაღაც განსაკუთრებული იდუმალების ბურუსით მოცული გზით მიდის, რეალური ცხოვრება კი თავისით მიჭრიალებს ძველი თუ ახალი კანონების ყუმბარებით დასეტყვილი ყოველდღიურობის უხალისო გზაზე.**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთი „აუღებელი“ სახელმწიფო უწყება რომაა, რომელსაც არათუ დაპირისპირებას ვერ მოუგებ, ნორმალური პასუხის მიღებასაც ვერ ეღირსები, რაც ჩვენი გაზეთის რედაქციას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. მკითხველს შევახსენებ, რომ რამდენიმე წლის წინათ აღნიშნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში ჩვენმა კონკურენტმა გაიმარჯვა მიუხედავად იმისა, რომ იმავე მოცულობის სამუშაოს შესრულებაში ჩვენ გაცილებით ნაკლებს ვითხოვდით. მაგრამ უბედურება ესეც არ არის – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების თხოვნით რომ მივმართეთ, სააგენტოს თავკაცმა პასუხის მოცემაც არ იკადრა არა თუ კანონით დადგენილ ვადაში, არამედ... საერთოდაც... ხოლო როცა მომდევნო წელს გასამართი ტენდერის გამართვის ვადასთან დაკავშირებით მივაკითხეთ, დიდკაცურად გვიპასუხა – მაგის ვადების დასადგენად ჯერ ვერ მოვიცალეო...

ახლა კი, როგორც ჩანს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობას კიდევ უფრო მეტი ძალის შეგრძნების შესაძლებლობა მიეცემა, რადგან კანონმდებლების გადაწყვეტილებით, ეგრეთ წოდებული „თეთრი სიის“ შედგენის შესაძლებლობა ექნება, რომელშიც მოხვედრილი კომპანიები, სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღების დროს, გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებენ.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში, ანუ „თეთრ სიაში“ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ კვალიფიციურ მონაწილეთა მონაცემები აისახება, რომლებიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. ამასთან, უნდა ითქვას, რომ „თეთრ სიაში“ დარეგისტრირებული მიმწოდებელი, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღების დროს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურით ისარგებლებს.

თუ რა შედეგები მოჰყვება „სათავისო გუნდის“ შექმნას ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ისეთი მნიშვნელოვანი მუხლის შესრულებისას, როგორიცაა „სახელმწიფო შესყიდვები“, ამას თუნდაც ბოლო ხანებში ატეხილი ხმაურიანი ამბავი მოწმობს, რომელიც ბარათაშვილის ქუჩაზე საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი კვიპაროსების ნერგების დარგვას უკავშირდება, რომლებიც იტალიაში ერთ ფასად იყიდეს, თბილისში კი სულ სხვა, გაცილებით მეტი ფასი დაადეს...

აღნიშნული კანონი, რომლის მიზანი, როგორც თანმხლებ ბარათშია მითითებული, მომსახურების ან საქონლის შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მოწოდებისას მიმწოდებლის მხრიდან „მეტი ინტერესების გამოჩენის“ გამოწვევაა, ძალაში მიმდინარე წლის 1 მაისიდან შევიდა.

**დალი ხუნდაძე**

◎ კულტურა

# საგასტროლოდ – ესპანეთში

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი ესპანეთის Teatro Jovellanos-ის მიწვევით 10-15 მაისს საგასტროლოდ ესპანეთში იყო. ორკესტრი ქალაქ ხიხონის საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე ორჯერ წარსდგა. თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრს ცნობილი ესპანელი დირიჟორი მარიანო რივასი წარუძღვა.**

**ქართველმა მსმენელმა მარიანო რივასის შემოქმედება 2009 წელს გაიცნო ჯუზეპე ვერდის „რეკვიემის“ შესრულებით.**

**შეგახსენებთ, რომ თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი 2009 წლის აგვისტოშიც იმყოფებოდა ესპანეთის ქალაქ ხიხონის საოპერო მუსიკის ფესტივალზე, სადაც სწორედ მარიანო რივასის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ჯაკომო პუჩინის ოპერის „მადამ ბატერფლაის“ შესრულებაში.**



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საზღვრის მომხიბლაობა

**გეოგრაფებმა ჯერ კიდევ ვერ გაიგეს, დედამიწის რომელ ნაწილშია საქართველო: ევროპაში თუ აზიაში. რუსეთშიც უჭირთ, დაასახელონ ზუსტი საზღვრები, რომლებიც ამ ორ კონტინენტს ჰყოფს ერთმანეთისგან. სამაგიეროდ, ქართველებს ეჭვი არ ეპარებათ. ისინი არ გრძნობენ თავს ევროპელებად ან აზიელებად, კიდევ უფრო ნაკლებად – რუსებად. „ჩვენ კავკასიელები ვართ“, – ამბობენ ისინი სიამაყით.**

საქართველოში შესვლის მთავარი პუნქტი არის სოფელი სარფი თურქეთის საზღვარზე. გრძელია რიგები შემოსვლისა და გასვლის დროს. ყველაფრის მხილველი ავტობუსები გვერდს უვლიან მინდვრად გამოსულ ძროხებს და თავიანთი მგზავრები მიჰყავთ უახლოეს ქალაქ ბათუმში. ტურისტებისთვის გამზადებულ აღწერებში ეს არის „კურორტი სუბტროპიკული კლიმატით, მხიარული და სიცოცხლით აღსავსე“.

სინამდვილეში, ეს არის სამრეწველო ქალაქი, საქართველოს ძირითადი ნავსადგური შავ ზღვაზე. მასში არის დიდი სარკინიგზო სადგური გრძელი შემადგენლობებით, ისტორიული ცენტრი რესტავრაციის სტადიაში, აქ არის რამდენიმე რესტორანი. ამ ქალაქს არ შეიძლება უწოდო შესანიშნავი. ის არის უხეში, უცნაური, მაგრამ რაღაცით მაინც მიმზიდველი. საავტომობილო სადგურიდან გადიან ფურგონები და მიკროავტობუსები ქვეყნის დანარჩენი კუთხეებისკენ, აზერბაიჯანში და სომხეთში. ოფიციალური განრიგი არ არსებობს, ფირნიშნებზე, რომლებიც განთავსებულია მინებზე, ფლომასტერებით აწერია გასვლის დრო და დანიშნულების პუნქტი.

ქართული ენის გაგება შეუძლებელია. მაგრამ მცხოვრებლები ცდილობენ, როგორმე დაეხმარონ ტურისტების მცირე ოდენობას. მოსახლეობა სტუმართმოყვარე და სხვათა პატივისმცემელია.

ნახევარი დღის განმავლობაში ავტობუსით შეიძლება მიაღწიო ქალაქ ახალციხეს სომხეთის საზღვარზე. აქ დაიბადა შარლ აზნავურის მამა. თუ ვერ მონახავთ ოჯახს, რომელსაც შეუძლია მიგიღოთ, ქალაქში ამისთვის არის მხოლოდ ერთი სასტუმრო.

განთიადისას უკვე ილვიძებ თბილისში,



დედაქალაქი მდებარეობს ტყის ველზე. მასში მილიონნახევარი კაცი ცხოვრობს, აქ არის ბევრი სიმწვანე, სახლები დაბალია, ნაგებობანი უწესრიგოა, არის ცემენტის ბევრი დიდი შენობა. ქალაქის ცენტრში ერთმანეთს ცვლის თანამედროვე და ნეოკლასიკური სტილი.

ქალაქის ძეგლები განათებულია, მართლმადიდებელი ეკლესიის მოოქროვილი გუმბათი ქვირფასი განძი გგონია სხვა სახურავებს შორის. მომავალი იკვლევს გზას კომერციულ ცენტრებში, საცეკვაო მელოდიები გაისმის რეპროდუქტორებიდან, მაგრამ ქვეყანა იხდის საზღაურს მეოცე საუკუნისთვის, რომელმაც ღრმა ნაოჭები დაუტოვა მას. გაოცებს მკვეთრი კონტრასტები. ელეგანტური მანქანები მოძრაობენ უსახლკაროთა და მათხოვართა გვერდით, პატარა ფარდულებთან, აზარტული თამაშების დარბაზები შეიძლება ყველა კუთხეში ნახო, მაგრამ მაღაზიები კი, სადაც შეიძლება შეიძინო ერთი ბოთლი წყალი, არც ისე ბევრია.

იმ დროს, როდესაც ქალაქის ცენტრში სტუდენტები ავსებენ მაკდონალდსის რესტორანს და ამ რესტორანს აქებენ სოციალურ ქსელში, ავტოსადგურზე სასაუზმეებში დრო გასულ საუკუნეში შეჩერდა. მაგიდებსა და ქვაბებს შორის, სადაც ხორცი იხარშება, კედლიდან ხალხს მისჩერებია იოსებ სტალინი. წვნიანის ორთქლში მან ჯერ კიდევ არ იცის იმის შესახებ, რომ უკვე წარსულს ეკუთვნის.

**la Repubblica**

# რატომ დაკარგა საქართველომ ნატოს ტვირთები?

**ნატოს ჩიკაგოს სამიტის წინ საქართველოს ხელისუფლებამ კვლავ გააააქტიურა საქართველოს ალიანსში გაწევრების თემა. პოლიტიკურ სპექტრში დიდი მარჩიელობაა იმაზე, თუ რა სახის გზავნილს მიიღებს საქართველო ჩიკაგოდან – გვაღირსებენ MAP-ს (გაწევრების სამოქმედო გეგმას) თუ გვაკმარებენ მხოლოდ ANP-ს (ყოველწლიურ ეროვნულ გეგმას), სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ უფრო მტკიცედ ემხრობა ნატოში ინტეგრაციას თუ ბიძინა ივანიშვილის „კოალიცია“, ჯერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს თუ ნატო ოკუპირებული აფხაზეთითა და სამხრეთი ოსეთითაც „შეეხვეწება“ საქართველოს ალიანსში გაწევრებას. და იმ დროს, როდესაც ქართული პოლიტიკური და საექსპერტო საზოგადოება ასეთ მაღალ მატერიებზე მსჯელობს, საქართველომ, საკუთარი შიდაპოლიტიკის წყალობით, დაკარგა კონკრეტული შემოსავალი, რომელსაც ქვეყანა ნატოს წევრი ქვეყნებისთვის ავღანეთში საჰაერო ტვირთების ტრანსპორტირებით ღებულობდა.**

### მთავარია, რომ აღარ გვყავს რუსული „ბორტები“

ქართულ ავიაკომპანია „სკაი ჯორჯიას“ 2009 წლიდან სამხედრო დანიშნულების ტვირთები გადაჰქონდა ავღანეთში განლაგებული ნატოს წევრი ქვეყნების – ძირითადად საფრანგეთისა და გერმანიის - სამხედრო კონტინგენტებისათვის. კომპანიის გენერალური დირექტორის გიორგი კოდუას ინფორმაციით, ნატოს ტვირთების ტრანსპორტირების უფლება კომპანიამ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებით მოიპოვა. ქართული დროშის ქვეშ კომპანიის ეკიპაჟები ორი წლის განმავლობაში რეგულარულად ასრულებდნენ რეისებს ავღანეთში, კომპანია ასაქმებდა რამდენიმე ათეულ მფრინავსა და ტექნიკურ პერსონალს და ყოველ წელს ამ მომსახურებით საქართველოს ბიუჯეტში, ჯამურად, სერიოზული თანხები იყრიდა თავს.

მაგრამ ეს შემოსავლები საქართველომ 2011 წლის ნოემბერში დაკარგა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კომპანია „სკაი ჯორჯიას“ ფრენების ლიცენზია გაუუქმა. სამინისტროს ინფორმაციით, ამის მიზეზი გახდა ის, რომ კომპანიას ტვირთები გადაჰქონდა რუსული წარმოების ძველი თვითმფრინავებით და ვერ აკმაყოფილებდა ევროკავშირის მიერ დაწესებულ სტანდარტებს. გიორგი კარბელაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, მიიჩნევს, რომ კომპანია „სკაი ჯორჯიას“ და ყველა სხვა კომპანიებს, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო მოთხოვნებს, ფრენების განხორციელება სრულიად კანონიერად აეკრძალათ:

„კოდუა ჭკვიანი კაცია, ძლიერი ოჯახი აქვს, ყველაფერი, მაგრამ არის რაღაცა, რაც არის სახელმწიფო ინტერესი. თვითმფრინავი რომ ჩამოუვარდება და ზოგი იარაღის გადატანაში დაიჭირეს... საერთოდ, 42 თვითმფრინავი იყო, რომლებიც ხმარებიდან ამოვიღეთ – „ილები“, „ანები“... რუსული წარმოებისა იყო ამ თვითმფრინავების 99 პროცენტი. დღეს არც ერთი რუსული ბორტი საქართველოს რეგისტრში აღარ ჰყავს“.

### გადაწყვეტილება კონკურენტების გულის გასახარად

მაშინ, როცა ეკონომიკის სამინისტრო ამაყობს იმით, რომ „რეგისტრაციაში აღარ არის არც ერთი რუსული ბორტი“, ნატოს ქვეყნები განაგრძობენ ავღანეთში თავიანთი სამხედრო ნაწილების მომარაგებას მეტწილად სწორედ რუსული წარმოების თვითმფრინავებით. განსხვავება ისაა, რომ ფულს ამჯერად ნატოს წევრი ქვეყნები არა ქართულ საავიაციო კომპანიას, არამედ რუსულ, ბელარუსულ და აზერბაიჯანულ საავიაციო კომპანიებსურიცხავენ იმავე მომსახურებისათვის, რასაც ქართული „სკაი ჯორჯია“ ორი წლის განმავლობაში ყოველგვარი პრობლემის გარეშე ახორციელებდა.



მაგრამ „სკაი ჯორჯიას“ თვითმფრინავების გაჩერებასა და კომპანიის ფაქტობრივ დახურვაზე გული არ სწყდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელიც უფრო დიდ სიკეთედ მიიჩნევს იმას, რომ ქვეყანა გათავისუფლდა მოძველებული საფრენი აპარატებისაგან და, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი ამბობს, საქართველოს ავიაციამ თავიდან აიცილა საფრთხე მოხვედრილიყო საერთაშორისო „შავ სიაში“:

„ მე არ ვიცი, რა დაკარგა საქართველოს ბიუჯეტმა მაგრამ რაც უნდა დაეკარგა, ჩვენთვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მთავარი არის უსაფრთხოება და მთავარი არის მომავალი. ძალიან რთული იყო 42 თვითმფრინავის რეგისტრაციიდან ამოღება, მაგრამ ეს რომ არ გაგვეკეთებინა, მთლიანად ქვეყანა გაშავდებოდა და ეს პირდაპირ უთხრეს პრეზიდენტს. ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ვიყავით გაშავებულები. ერთ ღამეში გავაკეთეთ ეს და დღეს მოხდა ისე, რომ, პირიქით, დასარეგისტრირებლად ჩვენთან მოდიან სხვა კომპანიები და ჩვენთან მართლა რიგი დადგა, საქართველოს დროშის ქვეშ ვიფრენთო. “

### კოდუასა და ქობალიას ჩხუბში „გაჭყლეტილი კოზაკი“

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ასეთ მიდგომას ეკონომიკურად, სამართლებრივად და პოლიტიკურად მცდარს უწოდებს კომპანია „სკაი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი გიორგი კოდუა, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

„ტვირთები რატომაა გაჩერებული და იმიტომ, რომ ერთს ამბობენ – საქართველო უნდა იყოს რეგიონალური ცენტრიო, და ამ დროს ასეთი პროექტები ჩერდება. ჰოდა, ეს არის სწორედ ის, რომ ჯობია ჩვენ საქმე ვაკეთოთ და ეს საქმიანი კონტრაქტები შევინარჩუნოთ, ვიდრე ჩვენ ვილაპარაკოთ, რომ ევროპისაკენ მივდივართ, და საქმე კი სხვამ აკეთოს.“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ კომპანია „სკაი ჯორჯიას“ სარჩელი, გიორგი კოდუას თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 22 მაისს უნდა განიხილოს. გიორგი კოდუა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებული მოხელის, საქართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსის ერეკლე კოდუას ძმაა, დარწმუნებულია, რომ ამ სარჩელს უფრო წააგებს, ვიდრე მოიგებს, რადგან, გიორგი კარბელაშვილისა და მინისტრ ვერა ქობალიას სახით, მას საქართველოს პრეზიდენტთან კიდევ უფრო დაახლოებული პირები უპირისპირდებიან.

ამ ორ ძლიერ კლანსა და ჯგუფს შორის დაპირისპირება საქართველოს მოსახლეობის ნაწილს შესაძლოა, საერთოდ არ აინტერესებდეს, ნაწილმა კი, შეიძლება თქვას, ორივეს თავში ქვა უხლიაო, მაგრამ აქ ზუსტად იმ შემთხვევასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, როდესაც „ორ აქლემს შორის კოზაკი იჭყლიტება.“ კოზაკი კი საქართველოა, რომელიც, „სკაი ჯორჯიას“ თუნდაც მოძველებული საბჭოური თვითმფრინავებით, სოლიდურ მწვანე დოლარებს და პასტელისფერ ევროებს შოულობდა და ახლა ეს ყველაფერი სამუდამოდ დაკარგა.

მაშინაც კი, თუკი მოხდა სასწაული და „სკაი ჯორჯიამ“ მოიგო სასამართლო პროცესი, ნატოს საავიაციო ტვირთებს აღარავინ დაუბრუნებს იმ კომპანიას, რომელსაც ფრენების რეგისტრაციაზე უარს თავად მისივე ქვეყნის ხელისუფლება ეუბნება.

**კობა ლიკლიკაძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

## დედამიწის ზურგზე



**ირანში ბირთვული ფიზიკის წამყვანი მეცნიერის მკვლელობისთვის სიკვდილით დასაჯეს „ისრაელელი ჯაშუში“**

24 წლის მაჯიდ ჯამალი ფაში მიიჩნიეს ისრაელის „მოსადის“ აგენტად, რომელმაც შეასრულა დაკვეთა 2010 წელს ირანელი მეცნიერი-მეატომის მასუდ ალი მოჰამედის მკვლელობაზე. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო. ის ჩამოახრჩეს თეირანის ერთ-ერთ ციხეში.

* * *

**კაცობრიობამ 40 წლის განმავლობაში დედამიწის ბიორესურსების თითქმის მესამედი გაანადგურა**




1970-დან 2008 წლამდე ბიოლოგიური რესურსები შემცირდა 28 პროცენტით, ნათქვამია ველური ბუნების მსოფლიო ფონდის მოხსენებაში. მსოფლიო ეკოსისტემის მთავარი მომხმარებელი და დამაბინძურებელი არის ამერიკის შეერთებული შტატები. ერთ სულ მოსახლეზე გამფლანგველობის ლიდერები არიან ყატარი, კუვეიტი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები. რუსეთი, მაგალითად, ამ სიაში 33-ეა.

* * *

**ვერსიამ „სუპერჯეტის“ დაღუპვის შესახებ ღრუბლების გამო ეჭვი გამოიწვია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კი გაიგეს, თუ რატომ დაიმსხვრა „არა ის“ თვითმფრინავი**



სალაკის მთასთან, სადაც ლაინერი დაიმსხვრა, სამშაბათს განთიადიდან დაიწყეს დაღუპული თვითმფრინავის მგზავრებისა და ნამსხვრევების შეგროვება. უკვე მოაგროვეს 27 კონტეინერი დაღუპულთა სხეულებით. იმისთვის, რომ მაშველებს შეუქმნან მშვიდად მუშაობის პირობები, 15 მაისიდან ხელისუფლებამ დახურა კატასტროფის რაიონში მისასვლელი გზები.

* * *

**ჩრდილოეთ ირლანდიაში გააუვნებლეს ბომბი, რომელიც დამალული იყო ბრიტანული თვითმფრინავის ბორტზე**

ინციდენტი მოხდა ქალაქ ენისკილენის აეროპორტში. ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენის შემდეგ ყველა გზა, რომელიც მიდიოდა საჰაერო სადგურისკენ, გადაიკეტა. ადგილზე გამოიძახეს გამნაღმველები. ბომბი გააუვნებლეს, თუმცა მისი ტიპი და სიმძლავრე გასაიდუმლოებულია.



## თქვენთვის, ცნობისმოყვარენო!

# გაქიანურებული ორთაბრძოლა...

**ერთ მხარეს ვეგეტარიანელები არიან, მეორეზე კი „ლეშის მჭამელები“, როგორც ზოგჯერ საქონლის, ფრინველის და თევზეულის ხორცისა და მისგან დამზადებული ნაწარმის — რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხისა და სხვა მისთანების მომხმარებლებს მოიხსენიებენ.**

თუმცა ისინი არც ვეგეტარიანულ საკვებზე ამბობენ უარს.

ბოლო დროს გავრცელდა ხმები, თითქოს მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია აპირებს ვეგეტარიანობისკენ მიდრეკილება ფსიქიკურ ავადმყოფობად მიიჩნიოს. ამ ამბავმა საშინლად ააფორიაქა ბოსტნეულ-ბალახეული საკვების მომხმარებლები, რომლებიც, სხვადასხვა გაანგარიშებით, მსოფლიოში დაახლოებით 800-900 მილიონი არიან, თანაც არის ვეგეტარიანელებით დასახლებული მთელი ქვეყნები, მაგალითად, ინდოეთი, რომლის ტრადიციულ სამზარეულოში ხორცს საერთოდ არ იყენებენ, ძროხას კი „წმინდა“ ცხოველად აღიარებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონობით ინდოელს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება. თანაც ამ „შერისხულ“ ვეგეტარიანელებში მოხვდებიან ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან ალბერტ აინშტაინი, ლევ ტოლსტოი, ბილ კლინტონი და სხვ.

ამ ამბის განსჯა მედიაში გაცხოველებით დაიწყო. განახლდა ტრადიციული დავა მცენარეული და ცხოველური საკვების მიმდევართა შორისაც, კვლავ დაიწყო ყოველმხრივი აწონ-დაწონვა ხორცითა თუ მის გარეშე ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ეს მიმოხილვაც უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვითაა მომზადებული.

მოდით, უწინარესად ვნახოთ, სამედიცინო გამოკვლევების მიხედვით, თუ რა უპირატესობა აქვს ვეგეტარიანობას „მეხორცეთა“ წინაშე ან პირიქით.

### ვეგეტარიანელები

1. ხორცეული ან მსუყე საჭმლის უქონლობა ამცირებს მავნე ქოლესტერინის დონეს მათ სისხლში, ისინი იშვიათად ხდებიან ათეროსკლეროზის, ინსულტის ან ინფარქტის მსხვერპლნი.

2. მათ რაციონში ბევრი უჯრედოვანია, რის გამო იწმინდება კუჭ-ნაწლავი, ორგანიზმიდან გამოდის ტოქსინები, ვეგეტარიანელები ძალზე იშვიათად ავადდებიან მსხვილი ნაწლავის კიბოთი.

3. მათ საკვებში ბევრი C ვიტამინია — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ანტიოქსიდენტი.

4. არ იყენებენ მაღაზიის ძეხვსა და სოსისს, „მეხორცეთაგან“ განსხვავებით არ ღებულობენ ქიმიურ ნაკრებებს — კონსერვანტებს, გემოს გამაძლიერებლებს, შემსქელებლებს, სტაბილიზატორებსა და ა. შ.

5. მცენარეულ საკვებში ბევრი ბუნებრივი მაგნიუმია, რაც ასტაბილურებს ნერვულ სისტემას, აქრობს ნერვოზს, გაღიზიანებებს, უძილობას, ხსნის დაღლილობას.

6. ვეგეტარიანელები იშვიათად ავადდებიან შაქრის დიაბეტით.

7. მიაჩნიათ, რომ მათ შორის პრაქტიკულად არ არიან ნარკომანები და ალკოჰოლიკები.

### „მეხორცეები“

1. ორგანიზმში საკმარისი რაოდენობით შედის ვიტამინი B12, რაც აუცილებელია სისხლის წარმოქმნისთვის.

2. ხორცთან ერთად ისინი აუცილებელი ოდენობით ღებულობენ რკინას, რაც თავის ტვინის ჟანგბადით კვებას უწყობს ხელს.

3. ამინომჟავების აუცილებელი ნაერთი ორგანიზმში იცავს ჰორმონების ნორმალურ გამომუშავებას.

4. „მეხორცეები“ ღებულობენ სრულფასოვან ცილებს, რაც აუცილებელია ორგანიზმში უჯრედების აგებისა და განახლებისთვის.

5. ცილების საკმარისი ოდენობა ამაღლებს კუნთების ტონუსს, მათ შორის ორგანიზმში ყველაზე მთავარს — გულის კუნთებს.

6. A ვიტამინი, აუცილებელი რომაა კანის, ლორწოვანი გარსისა და მხედველობის შენარჩუნებისთვის, ყველაზე მეტია ცხოველურ საკვებში, ხოლო ის სრულფასოვნად შეითვისება მხოლოდ ცხიმებთან ერთად.

7. ვეგეტარიანელებისგან განსხვავებით, ორგანიზმში საკვებთან ერთად ნაკლებად შედის დაობებული სოკოების ტოქსინები, პესტიციდები, და სხვა ამისთანა, რომლითაც ბოსტნეული გადამუშავდება გადასაზიდად და შესანახად.

ახლა თქვენ საშუალება გაქვთ ერთმანეთს შეადაროთ ეს ორი „მიმართულება“ და აირჩიოთ, თუ რომელი გირჩევნიათ.

და მაინც, მიიღეს თუ არა ჯანმთელობის დაცვის ორგანიზაციაში გადაწყვეტილება ვეგეტარიანელობის ავადმყოფობად აღიარების შესახებ კატეგორია და რას ამბობენ ამასთან დაკავშირებით თავად ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები?

— ვეგეტარიანელობის ირგვლივ ატეხილი ამბავი მოგვაგონებს ცნობას სადღაც ბომბის ჩადების შესახებ, როცა ყველა ეძებს დამნაშავეს და არა თავად ბომბს. იწყება ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ყოველივე ეს სულელური ხუმრობა იყო. არავითარ ოფიციალურ ინფორმაციას არ ავრცელებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ასეთი რამ რომ მოეფიქრებინათ კიდეც, ის მათ საიტზე უნდა ასახულიყო, იქ კი ინფორმაცია ამის თაობაზე ახლაც არ არის.

ცხოველურ საკვებზე უარის თქმა და ვეგეტარიანელობად ახლაც შეიძლება მივიჩნიოთ თუნდაც წინასააღდგომო ან წინასაშობაო მარხვები, ან ექიმების რჩევის ყურის დაგდება.

იმის თქმა, რომ ცხოვრებისეული ფილოსოფია გადაიზარდა ავადმყოფობაში მაშინ შეიძლება, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს ან საქციელს კრიტიკულად აღარ უყურებს და პირდაპირ ემონება თავის იდეებს. ასეთი ადამიანები, (ლაპარაკია, ვეგეტარიანელებზე), ზოგჯერ მზად არიან ფანატიზმის შემოტევის დროს, თავს დაესხან, „კატლეტის მჭამელ ადამიანებს“, მათ „მკვლელებს“, „ლეშის მჭამელს“ უწოდებენ. ასეთებს კი აუცილებლად ფსიქიკური მკურნალობა სჭირდებათ.

უნდა ითქვას, რომ კვების რაციონის ძალით დარღვევა, მათ შორის ვეგეტარიანელობის ჯიუტი მიმდევრობა, სხვა დაავადების გამოვლენაა. ცხოველურ საკვებზე უარის თქმა საკუთარი ჯანმრთელობის საზიანოდ, ან თავისი იდეების სხვისთვის თავზე მოხვევა, სხვა არაფერია, თუ არა ისეთი პათოლოგიის სერიოზული სიმპტომები, როგორიც პიროვნების შეცვლა ან შიზოფრენიაა.

ყოველთვის შეიძლება არგუმენტების მოტანა როგორც ვეგეტარიანელობის სასარგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ, მიიჩნევენ ექიმი-დიეტოლოგები. მთავარია, მოვუსმინოთ საკუთარ ორგანიზმს და ამოვირჩიოთ ოქროს შუალედი, რომელიც ჩვენი სიცოცხლის ხარისხის გაუარესებას არ დაემუქრება.

ამ მიმოხილვის მომზადებისას გამახსენდა ერთი ეპიზოდი ნოდარ დუმბაძის რომანიდან, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. „ზურიკელას ყანა ჰქონდა გასათოხნი და სკოლა გააცდინა, რის გამოც ავადმყოფობის ცნობა უნდა მიეტანა“. ასე ყოფილა „მაშინ“, დღევანდელივით კი არა, როცა ვისაც როგორც უნდა, ისე აცდენს გაკვეთილებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს კი პასუხს არავინ სთხოვს! ის, რომ ზურიკელა ლოგინში ჩააწვინეს და ექიმი მოიყვანეს, ამ ფაქტს მეზობელი ილიკო და ილარიონიც შეესწრნენ. ექიმის კითხვაზე, თუ რა დაემართა ბიჭს, ილარიონმა უთხრა, რომ ბოლო დროს ზურიკელას სისუსტეს ამჩნევს, ჭამის მადა არა აქვს და ამას წინათ ერთი კეცი მჭადისა და სამი საინი ლობიოს მეტი არაფერი უჭამიაო. ექიმმა ბიჭის მადის შემოწმება მოინდომა — „დავიჯერო ახლა შემწვარი წიწილა ნიორწყალში ჩაწყობილი, ან ქონდარში შეზელილი ჭყინტი ყველი, ანდა მოხარშული დედალი ან შეკმაზული კუჭ-ნაწლავი ან კიდევ ნიგვზის ბაჟეში წვერა და კალმახი არ გინდაო? ამ მენიუს ვერ გაუძლო ილიკომ და გარეთ გამოვარდა“.

ეს სტრიქონები კახელმა რომ წაიკითხა, თქვა, ეს ექიმი კახეთში არ ყოფილა, თორემ თავის მენიუს აუცილებლად დაუმატებდა ცვრიან მწვადს, ქვაბიდან ამოღებულ ოხშივარიან ხაშლამას, 18-19 ნაოჭიან ხინკალსა და რაჭულ შაშხსაც თანაც არც მადლიანი „ტიბაანი“ დაავიწყდებოდაო.

ასეთი საოცარი, მადისა და ნერწყვისმომგვრელი საჭმელები გვაქვს ჩვენ, „ხორციჭამია“ ქართველებს, ახლა ამას დაამატეთ ვეგეტარიანელებისთვისაც ნუგბარი, ნიგვზით, ძმრითა და სხვადასხვა სანელებლებით შეკმაზული ფხალეულ-მწვანილეული, რაზეც არც ერთი „ხორციჭამია“ უარს არ ამბობს — განა ასევე მადიანად არ მიირთმევენ ისინი ახლა უკვე შემოსული კიტრისა და პამიდვრის სალათას, ახალ კარტოფილს, ხმელ თუ მწვანე ლობიოს, ისპანახის, კეჟერა ფხალის, ჭარხლის ფოთლის და სხვა მისთანებისგან დამზადებულ კერძებს, კომბოსტოს, წიწაკისა თუ პრასის მწნილებს? მოდით, თავად განსაჯეთ, რომელი ჯობია — „ლეშიჭამიობა“ თუ ვეგეტარიანელობა? ეს უკვე თქვენთვის მოგვინდვია, ოღონდ არავითარ შემთხვევაში უკიდურესობაში არ გადაიჭრათ!



მოამზადა
ვალიკო სიმონიშვილმა

## აკადემია

# სასიხარულო განახლება

პოსტსაბჭოურმა მძიმე „ქართულმა“ წლებმა მრავალ უსიამოვნებას შორის ისიც მოიტანა, რომ 1997-დან შეწყდა შესანიშნავი მეცნიერული ჟურნალის, ყოველკვარტალური **„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“** გამოცემა — რა თქმა უნდა, უსახსრობის მიზეზით; და აი, 15-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, სმეა-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, აკადემიის ეს ორგანო განახლდა. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია“ მიმდინარე წლიდან წელიწადში ორჯერ დაიბეჭდება სპონსორის ხარჯზე, აკადემიის ბაზაზე.

ჟურნალში დაისტამბება ქართველი და უცხოელი ავტორების გამოუქვეყნებელი, როგორც კვლევითი, ისე მიმოხილვითი თუ აღწერილობითი ხასიათის მასალის შემცველი წერილები (სტატიებიძ, ქართულ ენაზე, ინგლისური და რუსული რეზიუმეებით წარმოდგენილი, ელექტრონული ვერსიით დასაბეჭდად გამზადებული სახით (რა კარგია, რომ ჩვენში დამკვიდრებული ერთი ულამაზო ტენდენციის საპირისპიროდ, რუსული ენა „მაცნეში“ არ იქნება იგნორირებული...ძ. ჟურნალი სამეცნიერო წერილებს (სტატიებსძ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის დარგებში გამოაქვეყნებს, უფასო იქნება და მისი ტირაჟის განაწილებისას სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებიცა და შესაბამისი დაწესებულებებიც იქნება გათვალისწინებული.




მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის გაცნობა (ანბანური რიგითძ: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ აბაშიძე, აკადემიის წევრი ზაზა ალექსიძე, პროფესორები მარიამ დიდებულიძე, სერგო ვარდოსანიძე, ისტორიის დოქტორები ალექსანდრე თვარაძე, ბუბა კუდავა, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიის წევრები გურამ ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე, პასუხისმგებელი მდივანი გიორგი ლორთქიფანიძე, აკადემიის წევრი ლიანა მელიქიშვილი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი (რედაქტორიძ, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, პროფესორი ოთარ ჟორდანია, აკადემიის წევრი კიაზო ფიცხელაური, ისტორიის დოქტორი კახა შენგელია და აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე (აქვე სათქმელად, ყველას გაგვეხარდა 90 წლის ბატონ ოთარის მოსვლა სხდომაზეძ. ბატონმა როინმა უკვე ჩაატარა განახლებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის ფრიად საქმიანი სხდომა (გაფართოებულიძ და პირველი ნომრის გამოსვლას საზაფხულოდ დაგვპირდა...

თამაზ ებანოიძე

◉ „ევრო – 2020“

# ამიერიდან – მხოლოდ ჩვენ




**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადი გუშინ შვიდ საათზე შეიტანა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ ეს იყო სურვილის წერილი, რითაც ქვეყანა მზადყოფნას გამოთქვამს, უმასპინძლოს „ევრო 2020“-ს.**

აზერბაიჯანმა ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა არჩია, ამიტომ საქართველო მასპინძლობის უფლებისთვის მარტო იბრძოლებს.

ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა. იგი უფლების მოპოვების შანსებზე არ საუბრობს და ამბობს, რომ მთავარი ქვეყნის პრეტენზიაა, იყოს ამ სპორტული ღონისძიების მასპინძელი. „ეს ფართო სამშენებლო პროცესის დაწყების შესაძლებლობას მოგვცემს“, – განაცხადა მინისტრმა. აშენდება ახალი სტადიონები გორში, ზუგდიდში, ბათუმში, გურიაში და რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ქუთაისის ცენტრალურ და თბილისის ორ სტადიონს.

შერჩევა რამდენიმეეტაპიანია და თითოეული მათგანი სხვადასხვა ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს. მეორე ეტაპზე ქვეყანა ვალდებულია ჰქონდეს: ორი მინიმუმ 50 ათასადგილიანი სტადიონი, სამი – 40 ათასადგილიანი, ოთხი – 30-ათასიანი, ასევე სამი სათადარიგო სტადიონი. პრესის 900 წარმომადგენელს უნდა შეეძლოს მატჩზე დასწრება. ამასთან, აეროპორტში, მინიმუმ, 100 თვითმფრინავის ადგილი უნდა იყოს. ქალაქებში ტრანსპორტი 24-საათიან რეჟიმში უნდა მოძრაობდეს. სტადიონები აეროპორტიდან 45 წუთის სავალ მანძილზე უნდა იყოს.

მას შემდეგ, რაც უეფა განაცხადს დადებითად უპასუხებს, გადაწყდება, რომელ ქალაქებში ჩატარდება მატჩები. სავარაუდოდ, ეს ქალაქები თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი იქნება. შემდეგ ეტაპზე საჭირო იქნება ლოგოსა და სლოგანის შექმნა.

საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ამ ეტაპზე, სახელმწიფო ითავებს, შემდეგ ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, კი ხარჯებს უეფაც გაიღებს.

ევრო 2020-ის მასპინძელი ქვეყანა 2014 წელს გახდება ცნობილი.

◉ მძლეოსნობა

# გზად თურქეთისკენ

**გასულ უქმეებზე ეროვნულ სტადიონზე მძლეოსნობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში უფროსების მხარდამხარ ნორჩმა სპორტსმენებმაც იასპარეზეს. პირველობას 1998-1999 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ეს ის ასაკია, რომელმაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა იასპარეზოს. ამიტომაც ამ ბავშვებს აქედანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.** სპეციალისტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის 74-ე საჯარო სკოლის მერვეკლასელმა თემურ აბულაშვილმა, რომელმაც ბადრო 54,1 მეტრზე ტყორცნა, რაც ამ ასაკისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. ასევე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **გოგონებში** – ნანი სირაძე (ქუთაისი, 100 მ. და სამხტომი), დიანა ჯინისიანი (ახალციხე, 1000 მ), სოფიო მათიაშვილი (თბილისი, ურო), მარიამ ალექსეევა (ქუთაისი, ბირთვი), ნინო წიქვაძე (თბილისი, ბადრო), ია რეხვიაშვილი (თბილისი, შუბი), მარი ძაგნიძე (ვანი, 50 მ/თ და სიგრძეზე ხტომა), ქრისტინა ზოლოტუხინა (თბილისი, სიმაღლეზე ხტომა); **ბიჭებში** – გრიგოლ ახალაია (ხობი, 100 მ), რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 1000 მ), გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 100 მ/თ და სიმაღლეზე ხტომა), საბა კურდღელია (ქუთაისი, სამხტომი), ლაშა ქარქუსაშვილი (თბილისი, ჭოკით ხტომა), გიორგი მუჯარიძე (გორი, ბირთვი), გიორგი კეთილაძე (ხონი, შუბი), გიორგი ტყემალაძე (თბილისი, ურო).

შეჯიბრების შედეგებით შეირჩევა 6 საუკეთესო გოგონა და ბიჭი მძლეოსანი, რომლებიც 2 ივნისს თურქეთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**



◉ ძიუდო

# სამუცნობიანი განტოლება



**ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა, რომ 10 ქართველ ძიუდოისტს შანსი აქვს, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვდეს, საამისოდ ჯვაროსანთა საუკეთესო შვიდეულში უნდა დაიმკვიდროს ადგილი. უპირატესობა, ცხადია, იმ მოჭიდავეს მიეცემა, ვინც სალიცენზიო რეიტინგის 2 მონაწილეს შორის წინა საფეხურზე დგას.** ეს არ ეხება ჩვენი გუნდის 66 (ლაშა შავდათუაშვილი), 73 (ნუგზარ ტატალაშვილი), 81 (ავთანდილ ჭრიკიშვილი) და 90 (ვალერი ლიპარტელიანი) წონით კატეგორიებს, სადაც მხოლოდ თითო წარმომადგენელი გვყავს. აი, 60 (ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი), 100 (ლომერ ჟორჟოლიანი, ირაკლი ცირეკიძე) და +100 (ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი) კილოებში ორ-ორმა ქართველმა შეძლო სასურველი სალიცენზიო ქულების მოპოვება. ჯერჯერობით გაურკვეველია, მათგან ვინ გაემგზავრება ოლიმპიადაზე. ნაკრების მთავარ მწვრთნელ პეტერ ზაიზენბახერს ათივე ფალავანი მიჰყავს აზიურ საწვრთნელ შეკრებაზე. ჯერ ტოკიოში ივარჯიშებენ, მერე – კორეაში, ბოლო 10-დღიან მზადებას ისევ ამომავალი მზის ქვეყანაში გაივლიან და მერე სამშობლოში დაბრუნდებიან.

**ლაშა დიდია**

◉ ფეხბურთი

# ქეცბაიას რჩეულნი



**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 24 მაისს, ზალცბურგში თურქეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს. ავსტრიაში ჩასატარებელი შეხვედრისთვის თემურ ქეცბაიამ 22 ფეხბურთელი გამოიძახა. გუნდი ავსტრიაში შეკრებას დღეს დაიწყებს.**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი, გიორგი ლორია;

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე, ალექსანდრე ამისულაშვილი, აკაკი ხუბუტია, გურამ კაშია, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ფოფხაძე, საბა კვერკველია;

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი, დავით კვირკველია, თორნიკე ოქრიაშვილი, ალექსანდრე კობახიძე, დავით თარგამაძე, ჯაბა კანკავა, ლევან ყენია, ნიკა ძალამიძე, ჯაბა ლიპარტია;

**თავდამსხმელები:** ლადო დვალიშვილი, ნიკა გელაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ლევან მჭედლიძე.

სიაში ორი ისეთი ფეხბურთელია, რომლებიც ქვეყნის მთავარ ნაკრებში აქამდე არასოდეს გამოუძახებიათ: „რუბინის“ მცველი საბა კვერკველია და „იაგელონიას“ ნახევარმცველი ნიკა ძალამიძე.

◉ რაგბი

# სოლიდური ჰანდიკაპით



**დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს მორაგბეთა საგაზაფხულო გარდამავალი ტურნირი, რომელშიც 12 გუნდი ჩაება. ჯგუფური ასპარეზობების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები.** A ჯგუფის ბოლო ტურში „ლელომ“ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ დაჯაბნა და პირველი ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ნახევარფინალში B ჯგუფის მეორეადგილოსან „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა. ეროვნულ ჩემპიონატებში ამ გუნდების ორთაბრძოლები ყოველთვის სიმწვავითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა. გამონაკლისი არც ამჟამინდელი მატჩი ყოფილა. ლელოელებმა პირველივე შეტევისას ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ყიასაშვილმა ანგარიში გახსნა, რაც 37-ე წუთამდე უცვლელი იყო. სწორედ, შესვენებამდე 3 წუთით ადრე რკინიგზელებმა წონასწორობა აღადგინეს. ყველა ელოდა, რომ გუნდები პირველ ტაიმს ამ ანგარიშით დაამთავრებდნენ, მაგრამ „ლელოს“ ბოლო მიძალება აზალაძის ლელოთი და ზუსტი გარდასახვით დასრულდა – 10:3. შეხვედრის მეორე ნახევარში ლელოელებს მეტი ჟინი და ენერგია შერჩათ და გაიმარჯვეს კიდეც – 20:10.

საქართველოს ჩემპიონმა „არმიამ“ „აიას“ უმასპინძლა. თუმცა მთლად კარგი მასპინძელი ვერ გამოდგა, რადგან თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა და პაექრობა 18-ქულიანი სხვაობით მოიგო – 30:12.

**ორივე ნახევარფინალის განმეორებითი მატჩები 22 მაისს გაიმართება.**

**გივი გაგუა**

◉ წყალბურთი

# ჩაძირული „ზვიგენები“

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩები გაიმართა. ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიგამუსმა“ ზედიზედ სძლია ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებს (12:8), „ზვიგენებს“ (14:12) და 12 ქულით კვლავაც მეწინავეობს.**

„ზვიგენებმა“ ამ ტურში მეორე შეხვედრაც დათმეს – ამჯერად საქართველოს ვიცე-ჩემპიონ „თბილისთან“ – 10:14. ამ უკანასკნელმა კი მეორე გამარჯვება „ივერიასთან“ შეხვედრაში (11:7) ჩაიწერა. „ივერია“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. ამ ბიჭებმა კი ამას წინათ პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე თანატოლთა შორის ხუთი მეტოქის ძლევით პირველი ადგილი დაიკავეს. ისინი ახლა 19-წლამდელთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო რაუნდისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება თურქეთში 24-27 მაისს გაიმართება.




**ვაჟა ვლადიმერიძე**

◉ ინტერნეტიდან

## კარიერაში – პირველად



**თანდათან ძალაში შედის ავტორბოლის „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის შეჯიბრებები. კვირას ჩემპიონატის მეხუთე ეტაპზე – ესპანეთის გრან-პრი – გაიმარჯვა „უილამსის“ პილოტმა პასტორ მალდონადომ, ეს კარიერაში მისი პირველი გამარჯვება იყო, ვინაიდან შაბათს კვალიფიკაციაზე გამარჯვებული ლუისი ჰემილტონის „მაკლარენი“ მოიხსნა შეჯიბრებიდან ტრასაზე ბოლიდის გაჩერებისთვის. მალდონადომ კი „უილამსს“ პირველი გამარჯვება მოუტანა 2004 წლიდან. ბასტონაში ფინიშთან მეორე იყო „ფერარის“ მრბოლი ფერნანდო ალონსი, მესამე კი კიმირაიკონენი „ლოტუსიდან“.**

ამ დღის შემდეგ საერთო ჩათვლაში 61-61 ქულით ლიდერობენ მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი „რედ ბულიდან“ სებასტიან ფეტელი და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი „ფერარიდან“ ფერნანდო ალონსო. მესამე ლუისი ჰემილტონია 53 ქულით.

## აქტივისტები თასს უტევენ

**კიევში 2012 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის თასის დემონსტრაციისას ის პოსტამენტიდან გადმოაგდო მოძრაობის FEMEN ნახევრადშიშველმა აქტივისტმა იულია კოვპარიკმა. მან ფეხბურთის მაისური გაიძრო და იქ მყოფებმა მის სხეულზე ნათლად დაინახეს წარწერა „Fuck Euro – 2012“.**

აქტივისტი ქალი დააკავეს, თასი კი დაზიანდა, საგამოფენო მოედანი დაიკეტა, თუმცა ის მალე გაიხსნა. თასი კიევში 11 მაისს ჩაიტანეს, ის უკრაინის შვიდ ქალაქს შემოივლის. 8 ივნისს კი პოლონეთსა და უკრაინასში ევრო 2012-ის ფინალური ტურნირი დაიწყება. შეგახსენებთ, რომ FEMEN-ის აქტივისტები გამოდიან უკრაინასა და პოლონეთში ევროპის ჩემპიონატის გამართვის წინააღმდეგ.

## „ბრძოლის ველზე დაეცა“

**ასეთი შთაბეჭდილება დატოვა პოპულარული ნეშვილის დოღზე გამარჯვებული კვიცის არქადიუსის დალუპვამ.** ჟოკეი ბრაიანმა ამ პრესტიჟულ დაბრკოლებიან რბოლაზე, რომლის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი იყო, კვიცთან ერთად გაიმარჯვა, კვიცმა ფოტოგრაფებსაც უპოზიორა, შემდეგ კი 25 ათასი მაყურებლის თვალწინ დაეცა და სული განუტევა. როგორც ამბობენ, მას ფილტვის არტერია გაუსკდა, არადა ის შეჯიბრებაზე სხვებზე უკეთესი იყო, ძალზე ლამაზად მირბოდა, ისე რომ, სასიამოვნო იყო მისი ნახვა, დალუპვა კი სრულიად მოულოდნელი იყო.





**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 50 წლისა უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი**

**ვლადიმერ აფციაური**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ სიცოცხლემისჯილი

# ის მხოლოდ სახელს იხვეჭდა

წელს, 16 მაისს, 80 წლისა გახდებოდა. არადა, ბუნებამ ყველა სიკეთით დააჯილდოვა: მაღალი, ახოვანი, ათლეტური აღნაგობის, რაც მთავარია, კეთილი სულის მქონე. საქმიანობით პირიანობით გამორჩეული. თვითონ ცოტას იკმარებდა, სამაგიეროდ, უხვად გასცემდა გულის სითბოს... ახლობლების ხსოვნაში ასეთად დარჩა ცხოვრებიდან, სამწუხაროდ, ადრე წასული შალვა გრძელიშვილი.



თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთავში, მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, დაიწყო მუშაობა: ეს იყო 1958 წელი, ახალი ქალაქის აღმშენებლობის ხანა.

თავიდანვე ენერგიულად ჩაება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. იყო ამ სახელოვან კოლექტივში, დაბადებული და შემუშავებული ყველა სიახლის მონაწილე, შემოქმედი და განმახორციელებელი. ძიებისა და შემოქმედის ნიჭით უხვად დაჯილდოებულმა მრავალი ტექნიკური სიახლე დანერგა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, რითაც თავისი წვლილი შეიტანა მართვის ავტომატიზებული სისტემების სრულყოფაში.

შალვა გრძელიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის სრული ავტომატიზაციის დაპროექტება და დანერგვა, რითაც მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის ამ უდიდესი სამრეწველო ობიექტის ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფაში.

და განა მარტო აქ. იგი შემოქმედებითი მივლინებით ხშირად იმყოფებოდა ლენინგრადის ოლქის ქ.პრვალიოვის თიხამიწოვან კომბინატში, ასევე ქ.აჩინსკის მონათესავე საწარმოში, სადაც დოზირების უნიკალური სისტემა დანერგა.

ამავე დროს სისტემატურად აქვეყნებდა სამეცნიერო შრომებს, სტატიებს პრობლემურ საკითხებზე.

შალვა გრძელიშვილის ცხოვრება მარტო კვლევითი და სამეცნიერო მოღვაწეობით არ შემოიფარგლებოდა. იყო გულმხურვალე ქართველი მამულიშვილი. როცა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, იგი ერთ-ერთი პირველი დადგა ერის სადარაჯოზე, როგორც ღირსეული მებაჯრე და მეცნიერი. თავიდან ბოლომდე ღირსეულად, ერთგულად ედგა მხარში ეროვნული მოძრაობის ლიდერებს...

ეს სამოქმედო ასპარეზზე და, ცხოვრებაში, ყოველდღიურობაშიც ნაღდი ქართველი კაცური კაცი იყო: ღარიბთა, გაჭირვებულთა ქომაგი და შემწე, დამიმედებელი და მანუგეშებელი, გზის გამკვალავი და ხელის შემშველებელი... ამიტომ უყვარდათ ასე სიჭაბუკის ქალაქის მკვიდრთ. სუფრასთან მასთან ყოფნა დიდი სიამოვნება იყო. სადღეგრძელოების ოსტატი გამორჩეული იუმორითა და სილაღით ახალისებდა მეინახეებს.

მაგრამ ბედმა უმუხთლა, სიჭარმაგის წლები ბოლომდე ვერ გალია. არადა, რამდენი სასარგებლო ჩანაფიქრი ჰქონდა, როგორც მეცნიერს, გამომგონებელს, საზოგადო მოღვაწეს, საზოგადოება „რუსთაველების“ თანამოსაგრესა და მამულიშვილს. ნაადრევად დააკლდა თავის ნაამაგარ ქალაქს...

ამიტომ მუდამ დიდი სიყვარულით ვახსენებთ უანგარო მამულიშვილს, ერის მოჭირნახულეს შალვა გრძელიშვილს, პატივს მივაგებთ მის ხსოვნას მეგობრები, ახლობლები, მეზობლები... შეიძლება იმის თქმა, რომ თითოეული ჩვენგანის გულში იგი მარადიულად სიცოცხლემისჯილია.

საზოგადოება „რუსთაველები“,
სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ
„ავტომატმრეწვის“
ყოფილი თანამშრომლები.

◉ ახალი ფოლკლორი

## საბრალო ყურები

რაცა გვჭირს, ჩვენზე ახია, ახი,
რომ უნდა ვიყოთ, არ ვართ ის ხალხი,
დავიტრიალეთ უკუღმა ჩარხი,
გავყიდეთ წყალი, ტბა, ჰესი, არხი,
ტყე გავასხვისეთ, სახნავი, სახლი...
ასე დაგვაჭრეს ყურებზე ხახვი...

რამაზ ილმელი

◉ პოლიცია

ორიოდ წლის წინათ შსს-მ გამოაცხადა საკონტაქტო ტელეფონი, რომელზე დაკავშირებაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო, რათა მიეწოდებინა ინფორმაცია ნარკომანთა თავშეყრის, რეალიზაციისა და ა. შ. ფაქტების შესახებ. შეტყობინების დადასტურების შემთხვევაში ინფორმატორს ათასლარიანი პრემია ელოდა. ამასთან შსს საიდუმლოების დაცვის გარანტიას იძლეოდა.

ინფორმაციის ამგვარი სახით მიღებას უამრავი გაუთვალისწინებელი რამ მოჰყვა. იყო ცრუ ზარები, პირადი წყენის ნიადაგზე შესული შეტყობინებები და სხვა. ამასთან, სცოდავდნენ პოლიციელებიც: ხელმძღვანელობასთან ქულის დაწერის მიზნით, ვითომდა შესული ინფორმაციების საფუძველზე, აკითხავდნენ ნარკოტიკებზე ნასამართლევებს. აჯარიმებდნენ მათ. ზოგიერთი უღირსი ფულის კეთებაზეც გადავიდა.

საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ინიციატივა ჩავარდა. პრემია არავისზე არ გაცემულა, სამაგიეროდ ნარკომანია და ნარკობიზნესი აყვავდა. ციხეები აივსო ნარკოტიკებზე დაკავებულებით და ბიუჯეტი კი — მათგან შესული საჯარიმო გადასახადებით.

მართალია, დღეს პროპაგანდა ეწევა ნარკოტიკთან ბრძოლაში ხელისუფლების მიღწეულ გამარჯვებას, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, ეს მხოლოდ პიარია. რადგან ხელისუფლებამ გადაკეტა მხოლოდ საზღვრის გარედან შემომავალი მძიმე ნარკოტიკების (ჰეროინი, სუბოტექსი და ა. შ.) არხები, რასაც „საათიაქო ნარკომანიის“ აყვავება მოჰყვა. დღეს სხვადასხვა შხამქიმიკატზე დამზადებული „ჯეფითა“ და „ვინტით“ უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა.

### ახალი ინიციატივა

ცოტა ხნის წინათ შსს-ს ვებგვერდზე ახალი ინიციატივა გამოჩნდა — „გვითხარით, როგორ გემსახუროთ“. მასში ორი სახის კითხვარია — დეტალური და ბლიცი. კითხვარების გაჩენის მიზეზად შსს ხალხზე ზრუნვას ასახელებს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა გაწუხებთ, რათა უკეთ დავგეგმოთ პოლიციის საქმიანობაო. შსს-ს გარდა ამგვარი მიმართვა მინისტრმაც გაავრცელა საკუთარი „ფეისბუქის“ მეშვეობით.

კითხვარით შსს მიმართავს მოქალაქეებს, ჩამოთვალეთ პრიორიტეტი, რასაც პოლიციამ უნდა მიაქციას ყურადღება, რათა მოსახლეობამ თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნოსო. იქვე ჩამოთვლილია იმ სახის დანაშაულები, რომელთა აღკვეთაც მოქალაქეებს პირველ რიგში გადასაწყვეტად უნდა მიაჩნდეთ. იქვე არის ღრმად დასაფიქრებელი გრაფაც — „რა უნდა გააკეთოს პოლიციამ, რომ თქვენი პრიორიტი განხორციელდეს“?

### ამგვარი კითხვარებით ფონს ვერ გავალთ

დავით ჩერქეზიშვილი (თადარიგის მაიორი, შსს-ს ყოფილი შტაბის ყოფილი ინსპექტორი): ის რომ, შსს დაბნეულია და აღარ იცის, დანაშაულთან ბრძოლის რომელ მიმართულებაზე გააკეთოს აქცენტი, კითხვარიდანაც ჩანს. გაოცებას იწვევს ის პუნქტი, რომელიც საზოგადოებისგან ითხოვს აქცენტის გაკეთებას. ამისათვის არსებობს სტატისტიკა, ოპერატიული საქმიანობის გამოცდილება. საინტერესოა, რომ უწყება, რომლის კრიმინალთან ბრძოლის გამოცდილების გასაცნობად სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან სამართალდამცავები, კითხულობს — რა უნდა გააკეთოს პოლიციამ მდგომარეობის გამოსასწორებლადო“.

სულ სხვა კუთხით განიხილავს მერაბიშვილის კითხვარს დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტი ნაირა ცხოვრებაშვილი: „იმისთვის, რომ კითხვარმა შს მინისტრამდე მიაღწიოს, აუცილებელია რეგიონის, ქალაქის, რაიონის, ქუჩის დასახელება. მითითებულ უნდა იყოს სქესი და ასაკი. ბოლოს კი მიამიტურად წერია — საკონტაქტო ტელეფონის მითითება ნებაყოფლობითიაო. ბოლო მინაწერი წინააღმდეგობაში მოდის თავში მითითებულ აუცილებელ მოთხოვნებთან. ბოლო პუნქტს პასუხი რომც არ გაეცეს, გამომგზავნის (ელექტრონული ვერსიის) ვინაობა ადვილი დასადგენია. როდესაც მოსახლეობაში მუსირებს მოსაზრება, რომ ყველას და ყველგან უსმენენ, მსგავს კითხვარზე პასუხის გამცემი ბევრი არ იქნება. საინტერესოა ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგის შესახებ ჩატარებულ გამოკითხვებზე, ინტერვიუერები თვითონ მიდიოდნენ მათ მიერ შერჩეულ მისამართებზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ მოსახლეობას უმალ უჩნდებოდა ეჭვი მათი პასუხის სპეცსამსახურების ხელში ჩავარდნის თაობაზე. ამის გამო გამოსაკითხები ფრთხილობდნენ. ასეთ ვითარებაში პასუხები ვერ იქნებოდა გულწრფელი. მეც, როგორც ბევრი სხვა, არ ვიზიარებ გამოკითხვის შედეგებს.

რაც შეეხება შსს-ს კითხვარს, მას უფრო შორს მიმავალი მიზნები უნდა ჰქონდეს, ვიდრე მცდელობა ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გამოსწორებისა“.

## მერაბიშვილი აღიარებს, რომ კრიმინალური ვითარება უმართავია, მაგრამ...



სამართალმცოდნე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ გიორგაძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის პარლამენტში გამოსვლა ბევრი რამით არის დამაფიქრებელი. იგი უბრალოდ შეურაცხყოფილია ნაცების ელიტის გადაწყვეტილებით ახალი სარეზერვო ჯარების შექმნის თაობაზე, ახალი ყაიდის რეზერვისტების კანონის გვერდის ავლით დაფინანსებისა და შეიარაღებისა. გამოდის, რომ მერაბიშვილს აღარ ენდობიან და პოლიციის პარალელურად ქმნიან შეიარაღებულ ფორმირებას, რომელიც უმეტესწილად კრიმინალური წარსულის მქონეთაგან არის დაკომპლექტებული. ალასანიას რომ არ აეტეხა ერთი ამბავი, ამ „რეზერვისტებს“ დღესაც არ მოაქცევდნენ კანონის ჩარჩოებში, — ამბობს მოსაუბრე და იქვე აცხადებს, — ყველა არჩევნებს პოლიცია იგებდა, მაშ რატომ გახდა საჭირო მის პარალელურად საარჩევნოდ შეიარაღებული ჯგუფის შექმნა? ალბათ ამის გამო გააკეთა შს მინისტრმა განცხადება, რომ პოლიციას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობასო.

გიორგაძის აზრით მერაბიშვილი უფრო სახელმწიფოებრივად უდგება საკითხს, ვიდრე სააკაშვილი და მისი გუნდი. 5-დღიანი რეზერვისტების პროექტს — „დაიცავი შენი სახლი“, ხელმძღვანელობს ქვეყნის მასშტაბით გაერთიანებული სპეცრაზმების უფროსი კობა ახვლედიანი(?!). იგი თავის სააგიტაციო შეკრებებზე რეგიონებში აცხადებს, რომ რეზერვგამოვლილი ადამიანი უკეთესად დაიცავს თავის ქუჩას, უბანს, ქალაქს, რეზერვისტებს შესაძლებელია იარაღიც დავურიგოთო. თურმე ახვლედიანს ის დრო ახსენდება, როდესაც ხალხი თოფით თუ უთოფოდ, შიშველი ხელით იცავდა ქუჩასა და უბანს, ამის გამო შესაძლებელია რეზერვისტებს იარაღი სახლშიც გავატანოთო(?!). ყველა უბანს დავუნიშნოთ მეთაურებიო და ა. შ.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გვეუბნება, რომ გაერთიანებული სპეცრაზმების ხელმძღვანელი აპირებს გახდეს არაფორმალური შეიარაღებული, კრიმინალური ბანდების ხელმძღვანელი. ყველაფერი გვაგონებს „მხედრიონის“ ჩამოყალიბების პროცესს — ამბობს გიორგაძე და აქვე აღნიშნავს მერაბიშვილის სალ აზროვნებას ამ კუთხით. — მერაბიშვილმა იცის, რომ თუ ნაციონალები გაიმარჯვებენ, ეს ბანდფორმირებები აუცილებლად დაამძიმებენ ისედაც რთულ კრიმინოგენურ ვითარებას. თუ პირიქით მოხდა, შეიარაღებული კრიმინალები გარდაიქმნებიან „მხედრიონად“, ლოთი ქობალიას მსგავს უმართავ რაზმებად, შეესევიან რეგიონებს, გავლენ ტყეში. ყოველივე ეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალებს — ამბობს გიორგაძე.

ალბათ, ამის გამო გააკეთა მიმანიშნებელი განცხადება შსს მინისტრმა, შსს-ს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობასო.

ზაზა გილიხოძე

◉ ინფორმაცია

## ვის გამოექომაგება „ქომაგი“?

გუშინ საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“ პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ფონდის თავმჯდომარე ია მეტრეველმა პრეზენტაციისას განაცხადა, „ქომაგი“ დაეხმარება ყველა რეპრესირებულ ადამიანს, რომელიც მხოლოდ თავისუფალი სიტყვისა და აზრის გამოხატვის გამო გახდა პოლიტიკურად დევნილი.

მისივე განმარტებით, ფონდი დახმარებას პედაგოგებისგან დაიწყებს, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში სამსახურებიდან სწორედ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს.

„მინდა წარმოგიდგინოთ პედაგოგები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომ ხელი მოაწერეს ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხზე გამოკითხვას. ისინი ჩვენგან მიიღებენ ხელფასის ოდენობის კომპენსაციას“, — განაცხადა ია მეტრეველმა ფონდის პრეზენტაციაზე.

რაც შეეხება ფონდის დაფინანსების საკითხს, მეტრეველის განმარტებით, „ქომაგს“ უცხოეთში მცხოვრები ემიგრანტები და საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენები აფინანსებენ, თუმცა მან კონკრეტული გვარების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

„მათ ვინაობას საზოგადოება უახლოეს მომავალში შეიტყობს, თუმცა მინდა, გამოვეხმაურო მედიით გავრცელებულ არასწორ ინტერპრეტაციას და აღვნიშნო, რომ ფონდს არანაირი კავშირი არა აქვს არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა და ძალასთან. ჩვენ ვართ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტი ქართველებისა და საქართველოში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების დახმარებით შეიქმნა“, — აღნიშნა მეტრეველმა.

მისი განმარტებით, „ქომაგი“ უშუალოდ მარინა ჯანაშიამ, კოტე ჯანდიერმა და ლევან გორდეზიანმა მასთან ერთად დააფუძნეს.

ფონდში შექმნილია 5-6 კაცისგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისია, რომელიც პოლიტიკურად რეპრესირებულთა საქმეებს შეისწავლის. მეტრეველმა არც კომისიის შემადგენლობის დაკონკრეტება ისურვა.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსეული ქალბატონი

**თამარ ნერსესოვა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◉ ისტორიის ფურცლები

# ვატიკანის საიდუმლო არქივები

**წმინდა ტახტის წარმომადგენელთა ინიციატივით რომში გამოფენა მოეწყო, რომელზეც ვატიკანის საიდუმლო არქივებიდან დაახლოებით ასი ფასდაუდებელი დოკუმენტია წარმოდგენილი.**

გამოფენის ექსპონატები, არსებითად, ცნობილ ერეტიკოსთა სასამართლო პროცესების დეტალებსა და მონარქების მიერ დაწერილ წერილებს შეიცავენ. ექსპოზიცია პაპის ცნობილი არქივების დაარსების 400 წლისთავისადმია მიძღვნილი და წმინდა ტახტის ისტორიის 16 საუკუნეს მოიცავს.



გამოფენის ორგანიზატორთა განცხადებით, ამდენ საიდუმლო მასალას ქალაქ-სახელმწიფოს კედლები ჯერ არასდროს დაუტოვებია. ზოგიერთი მათგანის ნახვა აქამდე მხოლოდ მეცნიერებს შეეძლოთ. ახლა კი ყველა მსურველს „უტყუარი წყაროებით ისტორიის შესწავლის ცხოვრებაში ერთადერთი შანსი გაუჩნდა“, აცხადებენ ვატიკანში.



არადა, დენ ბრაუნის ცნობილი რომანებით ცნობისმოყვარეობააღძრულ მაყურებელს სანახავი და შესასწავლი მართლაც ბევრი აქვს, განსაკუთრებით, ეგრეთ წოდებულ „ერეტიკოსთა დარბაზში“. აქ დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს გალილეო გალილეის ნაღდი ხელმოწერა, რომელიც მან ინკვიზიციის მიერ მისთვის გამოტანილ განაჩენზე დატოვა, რომელიც დედამიწას ეხება. ანდა ჯორდანო ბრუნოს სასამართლო პროცესის ჩანაწერები. თურმე ჯორდანო ბრუნო რომაელ ხელისუფლებას რომ გადასცა, ინკვიზიცია მისთვის „უსისხლო გულმოწყალე დასჯას“, ანუ... კოცონზე დაწვას ითხოვდა!

გამოფენის კიდევ ერთი, ეგრეთ წოდებული „ქალთა დარბაზი“ ევროპელ ხელმწიფე ქალბატონთა ტრაგიკულ ბედისწერას ეძღვნება. რარიტეტებს შორისაა სიკვდილით დასჯის წინ დაწერილი შოტლანდიის დედოფლის მარიამ სტიუარტის ბოლო წერილი. ასევე გამოფენილია საფრანგეთის დედოფლის მარია-ანტუანეტას მიერ ციხიდან ძმისადმი მიწერილი წერილი.

გარდა ამისა, გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია ვატიკანისთვის მიწერილი რუსი ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის უსტარი, რომელშიც იგი თურქეთის სულთანს უჩივის, აგრეთვე პაპის ბრძანება ვოლფგანგ ამადეუს მოცარტისთვის ოქროს დეზის ორდენის მინიჭების თაობაზე.

საიდუმლო არქივის უფროსის სერჯიო პაგანოს თქმით **„გამოფენაზე ყველაფერია წარმოდგენილი — მოყოლებული ძველი ევროპიდან აზიამდე და ამერიკამდე არც ერთი ქვეყანა არ გამოგვიტოვებია“.**

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია იმ ფასდაუდებელ დოკუმენტთა მხოლოდ მცირედი ნაწილი, რომლებსაც ვატიკანის საიდუმლო არქივის დაახლოებით 90 კილომეტრის სიგრძის სტელაჟებზე ინახება!

**დალი ხუნდაძე**

◉ დაიჯესტი

## „ამქვეყნად ყველაფერი პლაგიატია“





**ლიტერატურაში პლაგიატის პრობლემა თითქმის იმდენივე ხნისაა, რამდენისაც თავად ლიტერატურაა. სხვა საკითხია, რომ საუკუნეთა მანძილზე ეს თემა მხოლოდ ეთიკის თვალსაზრისით განიხილებოდა. ბოლო 20-30 წელიწადში კი პლაგიატის პრობლემამ ეთიკის სფეროდან იურიდიულში გადაინაცვლა.**

პლაგიატში წაყენებულ ბრალდებათა მხრივ მსოფლიო „ლიდერებად“ ჰარი პოტერის „დედა“ ჯოან როულინგი და „და ვინჩის კოდის“ „მამა“ დენ ბრაუნი ითვლებიან: თანამედროვეობის ამ ორი, ალბათ, ყველაზე წარმატებული ავტორისადმი პრეტენზია, როგორც ჩანს, მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინრებს არ წაუყენებიათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათდამი წაყენებული არც ერთი პრეტენზია სასამართლოს არ დაუკმაყოფილებია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ **მსოფლიო ლიტერატურა იდეების გადაღებასა და მათ გადამუშავებაზეა აგებული.** ამ საკამათო თეზისის განსამტკიცებლად მრავალი ისტორიული ფაქტი მოჰყავთ, რომელიც შექსპირის, მოლიერის, გოეთეს, ვოლტერისა და სხვა დიდ მწერალთა შემოქმედებას უკავშირდება.



აქვე გვინდა გავიხსენოთ ცნობილ ნაწარმოებთა რუსული პლაგიატის მაგალითები. ყველაზე ცნობილია, ალბათ, ალექსი ტოლსტოის „ბურატინოს თავგადასავალი“, რომლითაც მან, ავტორის მიუთითებლად, იტალიურ „პინოქიოს თავგადასავალი“ გადმოსცა; ნიკოლაი ნოსოვის „ნეზნაიკას თავგადასავალი“ ანა ვოლსონის წიგნის ვარიაციებია; ლაზარე ლაგინის „მოხუცი ჰოტაბიჩი“ ფილიპ ენსტის ზღაპრის სიუჟეტია, ნიკოლაი ვოლკოვის „ზურმუხტის ქალაქის ჯადოსანი“, „ოზის ქვეყნის ჯადოსნის“ ავტორისეული ვერსიაა და სხვ.

ლეგენდით, როცა შექსპირი სხვისი სიუჟეტის მოპარვაში დაადანაშაულეს, მას თითქოს ეს არც დაუმალავს და უთქვამს: „ის ტექსტი ქუჩის ქალივით იყო, რომელიც წუმპეში ვიპოვე და მაღალ საზოგადოებაში გამოვიყვანე“. ალექსანდრე დიუმა კი, რომელიც არაერთხელ უმხილიათ პლაგიატში, რაზეც იგი არც დავობდა, პრობლემას ფილოსოფიურად უდგებოდა. „ამ ქვეყნად ყველაფერი პლაგიატია. მამაზეციერმაც კი ადამი თავის დარად შექმნა. ამიტომ ახლის შექმნა შეუძლებელია“.

## „რომანი“ კოკაინთან

**უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალებიდან ორიოდე თვის შემდეგ ელტონ ჯონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჰიუსტონივით ბევრ კოკაინს ვხმარობდი და ასე რომ გამეგრძელებინა, მეც მკვდარი ვიქნებოდი“.**

გაზეთ „მეილი დეილის“ ცნობით, ელტონ ჯონისა და კოკაინის „რომანი“ მართლაც დიდ ხანს გრძელდებოდა და 1990 წელს დასრულდა, როცა იგი მიხვდა, რომ უნდა გაჩერებულიყო.

მერე კი კოკაინი უიტნი ჰიუსტონის სისხლში აღმოაჩინეს, რომელსაც, პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, იგი მუდმივად მოიხმარდა.

ამასობაში კი ელტონ ჯონი და მისი ქმარი (თუ ცოლი?ძ დევი ფერნიში წლის დამლევისთვის კიდევ ერთი შვილის გაჩენას ელოდებიან. საქმე ისაა, რომ ჯონსა და ფერნიშს უკვე ჰყავთ ერთი წლის ბიჭუნა ზაქარია, რომელიც სუროგატულმა დედამ გააჩინა.

## გაუქმებული საფლავი

**ავსტრიის ხელისუფლებამ გაანადგურა საფლავი, რომელიც ნეონაცისტების საკულტო ადგილად გადაიქცა.**

საქმე ისაა, რომ ავსტრიის ჩრდილოეთის ქალაქ ლეონდინგის სასაფლაო დიდი ხნის მანძილზე იზიდავდა ადოლფ ჰიტლერის თაყვანისმცემლებს. ფიურერის მშობლების ალოის და კლარა შიკლგრუბერების საფლავი (ისინი 1903 და 1937 წლებში გარდაიცვალნენძ მუდამ ყვავილებით და ნაცისტური გერმანიის სიმბოლიკით იყო მორთული. ამ სამარცხვინო „მომლოცველობის“ აკრძალვა ქალაქის ხელისუფალთ არ შეეძლოთ, ამიტომ საზოგადოებრიობისა და ეკლესიის წარმომადგენელთა მხარდაჭერით მათ საფლავის განადგურება გადაწყვიტეს.



ავსტრიული კანონმდებლობით, საფლავის ლიკვიდაციისთვის საჭირო იყო ნათესავთა ნებართვის მიღება. ბოლოს მისი მიღება ფიურერის შორეული ნათესავი ქალისგან შეძლეს, რომელმაც უარი განაცხადა სასაფლაოზე მიწის ნაკვეთის ფლობაზე.

თავად ადოლფ ჰიტლერი ლეონდინგში, რომელიც იმხანად პატარა დაბა იყო, 1898-დან 1905 წლამდე ცხოვრობდა, ხოლო ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომ იქ მშობლების საფლავზე ხშირად ჩადიოდა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**რა თავში ვიხლით იმას, რომ ყველა გზა ხსნილი გვაქვს, თუ ჯიბეში სამგზავრო ფული არ გვიჭყავის?**

* * *

**ტელევიზორები ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ მხოლოდ იმიტომ არ მოუსვრია ფანჯრიდან, რომ მათ უკან კედელი გაშპალიერებული არა აქვთ.**



* * *

**ხალხს არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ პოლიციელები კანონს არ დაარღვევენ. ექიმებს ხომ აქვთ ავად გახდომის უფლება!**

* * *

**— საფულე ვიპოვე!**
**— შენი?**
**— არა, ფულიანი?**

* * *

**ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჩემს გარეგნობას — ამ ულიმღამო გამომეტყველების უკან საუცხოო თანამეინახე იმალება!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24